# საქართველოს რესპუბლიკა

> იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 10 ოქტომბერი, 2013 წელი.

№195 (7322)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში არც არაფერი შეცვლილა და არც მომავალში შეიცვლება რამე



3

## რამაზ საყვარელიძე: „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკურ რიტორიკაში შემტევი რიხი „ქართული ოცნების“ პასიურობის შედეგია

4

ნომრის კარიკატურა



## საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ თავისი წინამორბედების საიდუმლო დოკუმენტი გაამჟღავნა

8

## გვახსოვდეს აფხაზეთი!

5



## სასწრაფოდ შეიცვალოს უზნეო კანონები ზნეობრივი კანონმდებლობით

2

## ორი სევდანარევი სიხარული – გვერდიგვერდ...

9



## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◉ ალიან-ჩალიანი

## პრეზიდენტმა ხალხი „გაღიმებული" ვერ დატოვა

პრეზიდენტის პროექტი „ღიმილიანი საქართველო" აღარ გაგრძელდება. როგორც ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ აღნიშნა, ქვეყანაში უფრო მნიშვნელოვანი საკითხებია მოსაგვარებელი, ვიდრე ორთოპედია-სტომატოლოგიური პროექტი „ღიმილიანი საქართველოა".

მინისტრის ინფორმაციით, ხელისუფლებაში არ განიხილება და აღარ გაგრძელდება წინა ხელისუფლების მიერ, წინასაარჩევნოდ დაწყებული პროექტი, რომლის ფარგლებშიც რეგიონების მოსახლეობას უფასოდ უკეთებდნენ კბილების პროტეზს.

მოსახლეობის ნაწილმა მოასწრო პროტეზების უფასოდ ჩასმა. ნაწილი კი უკმაყოფილო დარჩა, ვინაიდან, ამ პროექტის ფარგლებში, პროტეზების მორგებამდე მათ კბილები ამოუღეს. არჩევნებში „ქართული ოცნების" გამარჯვების შემდეგ, კი პროექტი გაჩერდა, რის გამოც, ისინი კბილებისა და პროტეზების გარეშე დარჩნენ.

## რა დრო დადგა, დიპლომატები ექსკურსიაზე კონფლიქტის ზონაში დაგვყავს!

კონფლიქტის ზონაში უცხოელი დიპლომატების დელეგაცია იმყოფებოდა. სურინამის პარლამენტის თავმჯდომარისა და დიპლომატიური კორპუსის სხვა წარმომადგენლებს რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ უმასპინძლა. ქეთევან ციხელაშვილმა უცხოელი დიპლომატები ჯერ წეროვანის დევნილთა ჩასახლებაში ჩაიყვანა, შემდეგ კი დვანში საოკუპაციო ხაზთან არსებული მდგომარეობა გააცნო. დიპლომატები დვანელებსაც შეხვდნენ და მათგან მოისმინეს შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

სურინამის პარლამენტის თავმჯდომარემ ვიზიტის დასრულებისას განაცხადა, რომ საქართველოს სხვადასხვა უწყებებთან შეხვედრის შემდეგ ისინი გარკვეულ ინფორმაციას ფლობდნენ კონფლიქტის ზონაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, თუმცა, საკუთარი თვალით ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. უცხოელი დიპლომატების განცხადებით, ისინი საკუთარი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროსაც მიაწვდიან ინფორმაციას აქ არსებულ ვითარებაზე.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილის ქეთევან ციხელაშვილის განცხადებით, ქვეყნისთვის ძალზე მნიშვნელოვანია უცხოელი დიპლომატების სტუმრობა, რათა საკუთარი თვალით ნახონ შექმნილი მდგომარეობა და თანამეგობრობა, ზუსტ ინფორმაციას ფლობდეს დვანსა და გამყოფ ხაზთან მდებარე სხვა სოფლებში არსებულ მდგომარეობაზე.

რაც შეეხება დვანის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ვითარებას, უკვე 6 დღეა, რუსული საოკუპაციო ჯარის წარმომადგენლები აღარ გამოჩენილან და შესაბამისად, ე.წ. სასაზღვრო-სადემარკაციო სამუშაოებიც აღარ გაუგრძელებიათ.

## რუსთავის მეტალურგიული ქარხანა ჩვენია და იქ ძალიან მალე დავბრუნდებით!

ამის შესახებ „ქართული ფოლადის" დირექტორმა ნათია ჯაყელმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მან მედიის წარმომადგენლებს სააპელაციო სასამართლოს ის გადაწყვეტილება გააცნო, რომლის მიხედვითაც, ძალაში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 19 ივლისის გადაწყვეტილება.

— 1 ოქტომბერს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა საქალაქო სასამართლოს 19 ივლისის გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც აღდგა პირვანდელი მდგომარეობა და შპს „რუსთავის ფოლადისთვის„ მაქინაციებით გადაცემული ქონება საკუთრებაში დაუბრუნდა „ქართულ ფოლადს„. ყველაზე დიდ სკეპტიკოსებსაც თუ რაიმე კითხვა ან ეჭვი ჰქონდათ, მჯერა 2013 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებამ პასუხი გასცა. რუსთავის მეტალურგიული ქარხანა ჩვენია და იქ ძალიან მალე დავბრუნდებით, — განაცხადა ნათია ჯაყელმა.

— ჩვენ რთულ და სამართლებრივად სწორ გზას დავადექით. მაქინაციებითა და ძალადობით წართმეულს სასამართლოსა და კანონის გზით დავუბრუნებთ. ვერც სახელისუფლებო კულუარებში — ძველსა და ახალში, ინტრიგების ხლართვა, ვერც საზოგადოებისა და სასამართლოს დაშანტაჟების მცდელობა, შედეგს ვერ გამოიღებს. საზოგადოებამ უნდა გაიგოს, რა ხელშეკრულებას მოაწერა ხელი ინა გუდავაძემ და მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებამ 2011 წლის 6 ივლისს. როგორ და რა მაქინაციებით მოიპარეს ბიუჯეტიდან 39 მილიონი ლარი, რატომ იქცა ინა გუდავაძისა და მისი კრიმინალური ჯგუფისთვის თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 9 ივლისის განჩინება ფარატინა ქაღალდად და აკრძალვის მიუხედავად, ისევ რატომ ხდება დომენისა და მარტენის წიდის საწარმოო ნარჩენებისა და ნაცრის გასხვისება, და უმთავრესი — ვინ დაგეგმა და განახორციელა მიმდინარე წლის 24 ივნისს „ქართული ფოლადის" ოფისის აფეთქება, რასაც ჩვენი მეგობრების ალეკო მაისურაძისა და ზაზა ნინიძის სიცოცხლე შეეწირა, — განაცხადა ნათია ჯაყელმა.

მისი თქმით, მიუხედავად ყადაღისა და სასამართლოს გადაწყვეტილებისა, რუსთავის მეტალურგიული ქარხანაში დანადგარების განადგურება და ჯართად ქცევის პროცედურები გრძელდება, რაზეც „ქართულმა ფოლადმა" უკვე მიმართა პროკურატურას.

ინტერპრესი

◉ მოქალაქის წინადადება

**ბატონო ბიძინა რატომ მართმევთ იმ სიამაყის გრძნობას, რაც განვიცადე თქვენი პოლიტიკაში მოსვლის დროს?**

მე ამაყი ვიყავი 2012 წლის 27 მაისს და არჩევნების წინ სექტემბრის ბოლოს, როცა ხალხი გამოვიდა თქვენს დაძახებაზე, აი აქ გამოჩნდა ნამდვილი ქართული ზნეობრივი და ფიზიკური ახოვანება, მე ადრეც მითქვამს და ვიმეორებ, ქართველი ვერ იქნება და არც ყოფილა კანონის მონური მორჩილი, ქართველი ბუნებით თავისუფალი, ტოლერანტი და მაღალი მენტალიტეტის მატარებელი, კანონის ხარისხის პირდაპირ პროპორციული მორჩილია. აქედან გამომდინარე ქართული სამოქალაქო კულტურა განიზომება მაღალი ევროპული ხარისხით, ქართველი არის ღირსეული ევროპელი, აკი პირველი ევროპელი საქართველოდან შევიდა ევროპაში (ზეზვა და მზია).

## სასწრაფოდ შეიცვალოს უზნეო კანონები ზნეობრივი კანონმდებლობით

„თუნდ კეთილ მეფე როდის
არის მოსვენებული?
მისი სიცოცხლე, ზრუნვა,
შრომა და ცდა ქებული"

ეს სიტყვები აფრიკელს არ დაუწერია, ეს დაწერა ბარათაშვილმა. კიდევ ერთი მაგალითი — მეორე მსოფლიო ომის დროს ინგლისის დედოფალმა თავის ბუდუარში ბუხარში ცეცხლი არ დაანთო — ჩემი ხალხი გაჭირვებაშია და ეს ჩემთვის სირცხვილიაო.

ვერა და ვერ შეითვისა ვერც ერთმა ხელისუფალმა საქართველოში დამოუკიდებლობის მიღების დღიდან, რომ სახელისუფლებო სიცრუე, ორპირობა, ხალხის ქუჩაში ხოცვა, გაჭირვებულის ჯიბეში ხელების ფათური, მერე მისივე დადანაშაულება და გაუთავებელი ღრეობები. ეს არ არის სამოქალაქო საზოგადოების უკულტურობა, ეს არის ამაზრზენი სახელისუფლებო უკულტურობა და დანაშაული. ბატონო ბიძინა, რომელ მაღალ ჩინოსანს დამისახელებთ მაღალი კულტურით გამოირჩეოდეს, უნახავმა რა ნახა და ის, რომ ზოგს მგონი სპილოს დაავადება ემართება უზომოდ მიღებული ტრაპეზისაგან. ეს კულტურაა? თქვენ ამბობთ, რომ გადახვალთ სამოქალაქო სექტორში და აღზრდით ქართველ ხალხს სამოქალაქო კულტურის მატარებლად, დიახ ბატონო, ნამდვილად საჭიროა, მიავლინოთ თქვენი ჩინოვნიკები ხალხში კულტურის შესაძენად, ნახეთ, კარგი, განათლებული გოგონები მუშაობენ არასამთავროებში, გადაიღეთ ის მაღალი კულტურა, რაც ნამდვილად აქვს ქართველ ერს. თქვენ მოქალაქეთა უკულტურობად მიგაჩნიათ ის, რომ პროფესორი ნაგვის ურნაში იქექება, ჩინოვნიკი კი ისეა გაქსუებული, არ იცის, სად რომელ ქვეყანაში დაისვენოს და დახარჯოს გაჭირვებულის ჯიბიდან ამოცლილი სახსრები, რომელია აქ უკულტურობა? მოისმინეთ როგორი ბილწსიტყვაობა ზეობს თქვენს ინსტიტუციებში, რომელ სახელისუფლებო კულტურაზეა საუბარი, როცა ხელისუფალი ერთ სიმართლესაც კი არ იტყვის და ისეთი ოსტატობით ცრუობს, თითქოს ბავშვობიდან ასწავლიან სიცრუეს და ორპირობას. კულტურას არ სჭირდება ლამაზი კაბინეტი და ძვირფასი მოწყობილობა, კულტურისათვის საკმარისია ე.წ. ტაბურეტი. კულტურა არის სიმართლე, რასაც ეტყვი ადამიანს პირდაპირ თვალებში შეხედვით.



როგორ შეიძლება დაერქვას ქვეყანა წარმონაქმნს, სადაც სარსებო მინიმუმსა და ჩინოვნიკის ხელფასს შორის 50 ან 100-ჯერადი სხვაობა არის.

ამბობენ, ივანიშვილის ქონება ამ ბოლო დროს გაორმაგდაო, არ ვიცი და ვერც ავიღებ ჩემს თავზე ამის მტკიცებას, ან უარყოფას, ისე, გულწრფელად, ღმერთმა შეგარგოთ. მაგრამ ნათქვამია „კვამლი უცეცხლოდ არ არსებობს?"

ბატონო ბიძინა, უმორჩილესად გთხოვთ, დარჩეთ იმად, რაც ხელისუფლებაში მოსვლამდე იყავით, მოიშორეთ ბალასტი თქვენი გარემოცვიდან, უფრო მეტად იყურეთ ამ დაბეჩავებული, მაგრამ უაღრესად მაღალი კულტურის ხალხისკენ, ღირსება მარტო ფული და ქონება არ არის, ის არსად გაგექცევათ, ღირსება ის არის, რას იტყვის ხალხი თქვენზე მომავალში, „არ მისცეს წყევით თვის სახელი შთამომავლობას" (ესეც ბარათაშვილის სიტყვებია).

ბატონო ბიძინა, მე სულ თავში მიტრიალებს ერთი გამოცანა, — თქვენ სააკაშვილის ბანდას ასობით მილიონ დოლარს აძლევდით, უფრო მეტიც, მილიარდები გაქვთ მიცემული მათი გაძლიერებისათვის, რაც შემდეგ როგორ შემოგვიტრიალდა, ვხედავთ. მე კი მოხუც, ავადმყოფ კაცს ჩემს საკუთარ კაპიკებს არ მაძლევთ, „ღარიბს ართმევს, მდიდარს აძლევს, ღმერთი როგორ დაალხენსა", ასეა საქმე? კიდევ ერთი როგორც ახლა გავიგე, სააკაშვილის დატოვებული უკანასკნელი შეღავათიც მოგისხნიათ წყალზე, რაც ისევ ჩემთვის შუქის გათიშვის მიზეზი გახდა. აზრი მრჩება, რომ თქვენ მე მიცნობთ და სპეციალურად მიკეთებთ, ნუთუ ეს ასეა? მით უარესი თუ ეს ასე არ არის, ე.ი. ქვეყანას სწირავთ.

ბატონო ბიძინა! თქვენი წასვლით საქმეს ვერ უშველით, დათვი ბუნაგიდან გავეშებული გამოიყვანეთ, თქვენ კი ხალხი შიშველი ხელით შეატოვეთ ნადირს, თქვენი დაწყებული თქვენვე დაამთავრეთ, უშველეთ ხალხს და ისინი გიშველიან თქვენ, ეს არის სიცოცხლის მარადიული კანონი.

სანამ უგუნურ ჩინოვნიკებსა და გონიერ სამოქალაქო სექტორს შორის არ ამოივსება სოციალური და სამართლებრივი უფსკრული, ქვეყანა ადგას ძველი ბაბილონისა და ფარაონების ეგვიპტის გზას, ეს შეუიარაღებელი თვალითაც ძალიან გამოკვეთილად ჩანს. ეს რეალურად მოსალოდნელია, რასაც ვერ გავექცევით.

ხსნა მოქმედებაშია, რაც გამოიხატება შემდეგში:

სასწრაფოდ შეიცვალოს უზნეო კანონები ზნეობრივი კანონმდებლობით, დამკვიდრდეს კანონის უზენაესობა და მის წინაშე უპირობო პასუხისმგებლობა განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა და რაც მთავარია ცენზისა (თანამდებობისა), თორემ სატანა სააკაშვილი თავისი ბანდით უკან მობრუნებული კარს გვიმტვრევს, თქვენს მიერ ბუნაგიდან გამოშვებული.

ამ საქმეს ხარჯი არ სჭირდება, ამას სჭირდება თქვენი პოლიტიკური ნება და უდიდესი ძალისხმევა, ინტელექტუალური პოტენციალის სრულად გამოყენება.

ხსნა მხოლოდ ამაშია!

ქართლოს ზაქარეიშვილი

◉ აქცია

# სტუდენტური „არა!" — მავთულხლართებს საქართველოს ტერიტორიაზე





**რუსეთის მიერ 2008 წლის აგვისტოში საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, კერძოდ, სოფლებში დვანსა და დიცში ეგრეთ წოდებული „საზღვრის" გადმოწევა და მის გასწვრივ მავთულხლართის გავლება გააპროტესტეს 9 ოქტომბერს დედაქალაქის უკლებლივ ყველა უნივერსიტეტის, მათ შორის ივ. ჯავახიშვილის სახელობის, აგრარულის, პოლიტექნიკურის, სხვების სტუდენტებმა.**

დღის პირველ საათზე ერთდროულად ყველა უმაღლესი სასწავლებლის ეზოში ახალგაზრდებმა ერთიანი საქართველოს ფორმით ცოცხალი ჯაჭვი გააკეთეს და სიმბოლურად გადაიწიეს მავთულხლართები. შემდეგ დაუკრეს საქართველოს ჰიმნი, გამოფენილ პლაკატებთან „ვგმობთ ოკუპანტებს!" კი აგრესიის დამგმობ განცხადებაზე ხელმოწერები შეაგროვეს.

ქართველ სტუდენტებს აქციაში უცხოელმა სტუდენტებმაც დაუჭირეს მხარი. ახალგაზრდებმა საერთაშორისო საზოგადოებას მიმდინარე, მცოცავ აგრესიაზე რეაგირებისა და ყურადღების გამახვილებაზე მოუწოდეს.

— ჩვენი შეკრების მთავარი მიზანია მშვიდობიანი ფორმით პროტესტი გამოვხატოთ ადმინისტრაციულ საზღვართან ბოლოდროინდელ მოვლენებთან დაკავშირებით, — განაცხადა სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა თვითმმართველობის პრეზიდენტმა კახა აბულაძემ. — ჩვენ ერთიანი საქართველოს მოქალაქეები ვართ, ამიტომაც დღეს საბოლოოდ გადავჭერით მავთულხლართები და გავაერთიანეთ ქვეყანა.

ნინო ალექსანდრია

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.



*ცნობილი ჟურნალისტი, პუბლიცისტი და ექსპერტი **ლეონიდ რადზიხოვსკი** სააგენტო **„ჯი-ეიბ-ენი“**-სათვის მიცემულ ინტერვიუში რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე, პერსპექტივებზე და რუსეთის მიერ ოკუპირებულ რეგიონებზე საუბრობს.*

# რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში არც არაფერი შეცვლილა და არც მომავალში შეიცვლება რამე

**— რუსეთსა და საქართველოს შორის დიალოგი თითქოს დაიწყო. ორივე მხარემ ამისათვის მზადყოფნა გამოხატა... კარასინი და აბაშიძე პერიოდულად ხვდებიან ერთმანეთს. ამის პარალელურად რუსეთი საქართველოს ოკუპაციას აგრძელებს... ფიქრობთ თუ არა, რომ მოსკოვის მზადყოფნა — დაიწყოს დიალოგი საქართველოსთან, მოჩვენებითია და რეალურად არაფერი შეცვლილა?**

— არ ვიცი, რა ხდება ცხინვალში და რას ლაპარაკობენ კარასინი და აბაშიძე ერთმანეთში, მაგრამ მიმაჩნია, რომ რეალურად, რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობებში არც არაფერი შეცვლილა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ან რა უნდა შეცვლილიყო?! რუსეთს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებისგან უკან დახევა არ შეუძლია, ეს სახელმწიფოებრივი პრესტიჟის საქმეა, თავის მხრივ არც საქართველოს შეუძლია უკან დახევა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის არაღიარებისგან — ესეც სახელმწიფო პრესტიჟის საქმეა.

**— ამ ცვლილებად ეკონომიკური საკითხები და რუსეთის ბაზარი სახელდება ...**

— რეალურ ეკონომიკურ ურთიერთობებზე მოარული ხმები, როგორც გაირკვა — ძალიან გაზვიადებულია. იმის გამო, რომ „ბორჯომის“ შემოტანა დაიწყეს მოსკოვში, საქართველოს ეკონომიკას აღმაფრენა სულაც არ განუცდია, გნებავთ ერთბაშად ან გნებავთ ათობით პროცენტით.

როგორც ირკვევა, ეკონომიკური ურთიერთობა ჩვენს ქვეყნებს შორის დიდი სულაც არ არის და ჩემი აზრით, ამ წლების განმავლობაში, საქართველომ როგორღაც, ასე თუ ისე, რუსული ბაზრის გარეშე ყოფნა ისწავლა. ასე რომ, მე უბრალოდ დაახლოებისათვის საბაბსაც კი ვერ ვხედავ.

სტრატეგიული კურსი საქართველოს ნატოში გაწევრების შესახებ, შეუძლებელია შეიცვალოს, რუსეთს ეს, რა თქმა, უნდა კატეგორიულად არ აწყობს. ასე რომ, მოსკოვში შესაძლებელია კიკაბიძის ან კიდევ ვინმეს კონცერტი ჩატარდეს, მაგრამ ეს არაფერს არ შეცვლის. მოკლედ, მე ვერ ვხედავ საბაბს ჩვენი ურთიერთობების კარდინალური შეცვლისა.

ხოლო რაც შეეხება იდეას, რომ რუსეთი აპირებს ხელში ჩაიგდოს საქართველოს ტერიტორიის ახალი ნაწილები — ეს სრული სისულელეა, არავითარი ომი რუსეთის გეგმებში არ შედის. მოკლედ შენარჩუნებულია სტატუს-კვო.

**— არც მაინც და მაინც... ოკუპაცია გრძელდება... არის მოსაზრება, რომ მოსკოვის ზეწოლის გააქტიურება ვილნიუსის სამიტთან არის დაკავშირებული. რეალურად, მართლა ეშინია თუ არა რუსეთს საქართველოს მიერ ევროკავშირისა და დასავლეთისკენ მორიგი ნაბიჯების გადადგმა?**

— მე არ ვიცი, კიდევ რა ნაბიჯები უნდა გადადგას საქართველომ ევროკავშირთან და დასავლეთთან დასაახლოებლად. რამდენადაც მე ვიცი, საქართველომ ყველა დოკუმენტი წარადგინა, რომლებიც ნატოს წევრობისათვის არის საჭირო. მართალია, ეს საკითხი ამჟამად გაყინულია, ვინაიდან ნატოში არ იღებენ ქვეყნებს, რომლებსაც ტერიტორიული დავები აქვთ სხვა სახელმწიფოებთან. მაგრამ, პრაქტიკულად, მთელი ეს სამუშაო მიდის, ამიტომაც მე კარგად არ მესმის თუ კიდევ რა ნაბიჯი უნდა გადადგას საქართველომ დასავლეთთან დასახლოებლად. მან ყველაფერი გააკეთა უკვე

**— გინდათ თქვათ, რომ მოსკოვს ამის არ ეშინია?**

— რისი უნდა ეშინოდეს რუსეთს?! მოსკოვისათვის საქართველო უკვე კარგა ხსნის წინათ მოჭრილი ნაწილია. როდესაც ივანიშვილი მოვიდა ხელისუფლების სათავეში, ერთი წლის წინათ მოსკოვში, შესაძლოა, ვინმეს ჰქონდა კიდეც ილუზია იმასთან დაკავშირებით, რომ ივანიშვილი, რომელსაც აქვს უზარმაზარი ბიზნესკავშირები რუსეთში, შემოატრიალებს საქართველოს და კვლავ დსთ-ში დააბრუნებს, უარს იტყვის დასავლეთთან დაახლოებაზე, უკან გამოითხოვს ნატოს წევრობის განაცხადს და ა.შ. ხოლო ვინაიდან და რადგანაც ეს არაფერი მომხდარა და რეალური ცვლილება საქართველოს საგარეო პოლიტიკას არ განუცდია, მგონი, მოსკოვმა უკვე ხელი ჩაიქნია, იმიტომ მას არაფრის შეცვლა არ შეუძლია.

**— საქართველოში ბევრი მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ის რუსეთის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, ეს მხოლოდ სასიკეთო ცვლილება იქნება ჩვენთვის. თქვენ, როგორც რუსი ექსპერტი და ანალიტიკოსი, როგორ ფიქრობთ, სანაცვლოდ, რაზეა წამსვლელი ამის გამო მოსკოვი?**

— მიმაჩნია, რომ ეს არარეალურია, უტოპიური აზრია. მაგრამ თუ დავუშვებთ და გავაანალიზებთ, აქ ორი რამე იჩენს თავს: პირველი: მთელი ქართული ელიტა, პოლიტიკურიც და ბიზნესელიტაც უკვე დიდი ხანია, ფსიქოლოგიურადაც და ცხოვრებისეულადაც დაკავშირებულია დასავლეთთან და მათთვის უარის თქმა იდეაზე ნატოში გაწევრების შესახებ და დსთ-ში დაბრუნება იმის ტოლფასი იქნება, რომ ხაზი გადაუსვან ყველა თავის გეგმას — ეს პირველი. მეორე — როგორ უნდა თქვას მოსკოვმა უარი აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით?! ეს ძალიან რთულია და ვიმეორებ, ეს სახელმწიფო პრესტიჟის საქმეა.

დიახ, შესაძლოა, დაიწყოს რაღაც საუბრები კონფედერაციულ მოწყობაზე, რომელშიც იქნებოდა გაერთიანებული საქართველო, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, მაგრამ, მაპატიეთ, მოსკოვის გარდა, არსებობს თავად აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. ეს უკანასკნელი დავუშვათ კარგი, პატარა წარმონაქმნია, რომელიც 100 %-ით დამოკიდებულია მოსკოვზე და თუ ხვალ მოსკოვი მათ ფულს არ მისცემს, ისინი, უბრალოდ დაიხოცებიან შიმშილით. ამიტომაც ისინი 100% ემორჩილებიან მოსკოვს, მათ სხვა გზა არ აქვთ. ისიც, ალბათ, იქნება რაღაც მღელვარებები, პარტიზანული ჯგუფების შექმნა, მაგრამ კარგით, დავუშვათ ამას მოსკოვი მოუვლის, მაგრამ, აბა სცადეთ და მოელაპარაკეთ ამაზე აფხაზეთს! არასოდეს აფხაზეთი თანხმობას არ განაცხადებს საქართველოსთან გაწევრებაზე. მათ ხელში ჩაიგდეს ტერიტორია, სახლები, როგორ უნდა დააბრუნონ მათ ეს ყველაფერი?! ქართველი დევნილების დაბრუნება ომის ტოლფასი იქნება! აფხაზეთი ამაზე არასოდეს არ წავა და მოსკოვმა რომ მათზე ამ მიმართულებით ზეწოლა დაიწყოს, ისინი ზუსტად ისევე წავლენ მოსკოვის წინააღმდეგ, როგორც ეს თავის დროზე საქართველოს წინააღმდეგ გააკეთეს.

ამიტომაც მე მიმაჩნია, რომ ბრიყვულია იფიქრო, რომ საკმარისია, მოსკოვმა დარეკოს სოხუმში და თქვას: ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ თქვენ საქართველოსთან უნდა გაერთიანდეთ, კეთილი ინებეთ და შეასრულეთ. სოხუმის პასუხი იქნება: თქვენ კი გადავწყვიტეთ, ჯანდაბამდეც გზა გქონიათ თქვენი რჩევებით, აი რა გადავწყვიტეთ ჩვენ... ყველაფერი დაახლოებით ასე იქნება.

**— თუმცა, საქართველოს მიერ რიტორიკის შეცვლას, მრავალი მისი პოლიტიკური კურსის ცვლილებით ხსნის. მაინტერესებს ექსპერტის ხედვა მოსკოვიდან, რაიმე მსგავსს ხედავთ?**

— ამაზე მე მოსკოვიდან საუბარი გამიჭირდება... რიტორიკა კი, ნამდვილად შეიცვალა თბილისშიც და მოსკოვშიც. მეტიც, კი არ შეცვლილა, ის საერთოდ გაქრა. საქართველო უკვე აღარ არის მთავარი მტერი, ახლა ჩვენ სხვა მთავარი მტრები გვყავს. არ ვიცი, რა ხდება საქართველოში ამ მიმართულებით, შეიცვალა თუ არა იქ მთავარი მტერი, მაგრამ საქმე ის არის, რომ რიტორიკა რიტორიკაა და მოქმედება - მოქმედება.

მე ვერ ვხედავ საქართველოს მხრიდან რაიმე ისეთი სახის პოლიტიკურ ქმედებებს, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ მოსკოვის მოკავშირე გახდეს. ამისათვის კი საჭიროა, სულ მცირე ორი პოლიტიკური მოქმედება: პირველი მოქმედება — ნატოს წევრობის განაცხადის უკან გამოწვევა და მეორე მოქმედება — რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა და დსთ-ს წევრობის სურვილი.

ამ ორი პოლიტიკური მოქმედების არსებობის შემთხვევაში საქართველოს აქვს შანსი, გახდეს მოსკოვის მოკავშირე, უბრალოდ რომ ვთქვათ, რა არის მოკავშირეობა — ეს არის ფულის მიღება, ამა თუ იმ ფორმით.

რუსეთის ახლანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით კი, როდესაც რუსეთში მცირდება სახელმწიფო ბიუჯეტი, როდესაც საუბრობენ იმაზე, რომ ხალხი უნდა დაითხოვონ სამსახურებიდან, ვინაიდან, ძალიან ბევრი ადამიანი იღებს ხელფასს ისე, რომ არაფერს აკეთებს, ამ სიტუაციაში მოსკოვს რომ შეეძლოს სერიოზული ეკონომიკური დახმარების გაწევა არა თუ საქართველოსთვის, არამედ თავისი უახლოესი მოკავშირეებისაც კი, კარგი იქნებოდა.

მოსკოვს ახლა სულაც არ აქვს ის მდგომარეობა რაც 2008 წელს ჰქონდა, როდესაც იმდენი ფული იყო, რომ არ იცოდნენ, სად წაეღოთ.

არ მიმაჩნია, რომ დღეს მოსკოვი ძალიან ეხმარება სამხრეთ ოსეთსაც კი. არეულობის დრო, როდესაც სამხრეთ ოსეთის მიმართულებით ისროდნენ ასეულობით მილიონს, დასრულდა. მოსკოვში ფული არ არის.

ასე რომ, მე მართლა არ მესმის, თუ რის გამო უნდა გადაახტეს საქართველო თავის თავს, გადატეხოს თავისი თავი, უარი თქვას პოლიტიკაზე, რომელიც არსებობდა ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე სააკაშვილამდე. დასავლეთთან დაახლოების პოლიტიკა ხომ უცვლელი პოლიტიკაა.

საქართველოში იყო სამოქალაქო ომები, იყვნენ ბანდიტები, იყვნენ იოსელიანი, კიტოვანი, შევარდნაძე, იყო გამსახურდია — ისინი ყველა ერთმანეთს ვერ იტანდნენ და ჭამდნენ, მერე მოვიდა სააკაშვილი, რომელიც ვერ იტანდა შევარდნაძეს, მერე მოვიდა ივანიშვილი, რომელიც ვერ იტანს სააკაშვილს, მაგრამ დასავლური ვექტორი ამის გამო სრულებით არ შეცვლილა. გამსახურდია, შევარდნაძე, სააკაშვილი, ივანიშვილი — ისინი იცვლებიან — პროდასავლური ვექტორი კი რჩება.

**— ანუ ხილულ მომავალში სიტუაცია უცვლელი იქნება...**

— მე განსაკუთრებულ პრობლემებსაც ვერ ვხედავ რუსეთსა და საქართველოს შორის, სამხედრო აგრესია აბსოლუტურად გამორიცხულია, ურთიერთლანძღვა? — დიდი ამბავი! ლანძღვა, თუმცა, ისიც აღარ არის ამ ბოლო დროს.

რუსეთი და საქართველო რაღაც წონასწორობის წერტილში მივიდნენ და თითოეული მათგანი თავისი ორბიტის ირგვლივ ბრუნავს.

მოსკოვს ახლა არავისი დახმარება არ შეუძლია და თუ დახმარება არ შეუძლია, რად უნდა საქართველოს მასთან დაბრუნება. მიზეზსაც ვერ ვხედავ, რატომ უნდა შეიცვალოს რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობები ხილულ მომავალში.

**ეკატერინე მომცელიძე**

## ◎ კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

**● ჩემს ქუჩაზე იმდენი ზანგია, თეთრს რო ვხედავ ყავაზე ვეპატიჟები.**

**● დღეიდან ხინკლის მოხვევას ვიწყებ, დღეში ერთი ნაოჭი. მე-19 დღეს მოიხარშება — განაცხადა კბილაშვილმა.**

**● ნეტა რამდენი დახარჯეს საარჩევნო პიარისთვის პრეზიდენტობის კანდიდატებმა? (პიარ-შეფების ხელფასებიდან დაწყებული, შტაბებთან მოყიალე უსაქმურების ლობიანებით დამთავრებული). ორ პენსიონერს ციტრამონის საყიდლად თუ ეყოფოდა, ჰაა?**

**● საქართველო, როგორც დედამიწის ნაწილი, ეკუთვნის ქართველ ერს, როგორც კაცობრიობის ერთ-ერთ ნაწილს.**

**ქართველი ერის უფლებაა, ეს ტერიტორია (მიწა) გამოიყენოს თავისი საზოგადოების მშენებლობისთვის თავისი ფიზიკური, მენტალური, სულიერი შესაძლებლობების, მიდრეკილებების, ტრადიციებისა და გემოვნების მიხედვით.**

**ეს როგორც მინიმუმი, ჩვენ კი ერის ინტერესების გვერდის ავლით მივშტერებივართ გაღმა ოკეანეთსა და წამხდარ ევროპას და მათს დირექტივებს ველოდებით.**

**ჯერ მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ თურმე თომას ჰამერბერგმა უკეთ იცის, რა გვჭირდება ჩვენ.**

**● კაცებს რომ მოუსმინო, სულ ქალია დამნაშავე. არადა, გოგოებო, ვინა სცოდავს ძირითადად?**

**● სახელმწიფოს უნდა ყავდეს იაფი მთავრობა. სპეციალური კანონით უნდა მოხდეს პოლიტიკური და საჯარო მოხელეებისთვის ხელფასის, პრემიების, ავტოპარკის და კომუნიკაციის საშუალებებით სარგებლობის რეგულაციის დაწესება. საჯარო სამსახურში და პოლიტიკურ თანამდებობზე დასაქმებულ პირთა ანაზღაურება უნდა მიებას საარსებო მინიმუმის მაჩვენებელს.**

**● საკუთარ შეცდომებზე მხოლოდ იდიოტები სწავლობენო, განაცხადეს ე.წ. ინტელექტუალმა რესპუბლიკელებმა და ნაცების შეცდომების სწავლა დაიწყეს. მოიცა, მოიცა, ეს რა გამოვიდა, ე.ი. ინტელექტუალები კი არა, იდიოტები ყოფილან.**

**● ოცნებას და ნაცებს ჩინური ინტელექტი აქვთ, თურქული, თუ გენმოდიფიცირებული?**

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძე**



№195. ხუთშაბათი, 10 ოქტომბერი, 2013 წელი.

## რამაზ საყვარელიძე:

# „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკურ რიტორიკაში შემტევი რიხი „ქართული ოცნების“ პასიურობის შედეგია



**საპრეზიდენტო** არჩევნებამდე დარჩენილ დროში საშინაო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე **„ინტერპრესნიუსი“** ფსიქოლოგსა და პოლიტოლოგს **რამაზ საყვარელიძეს** ესაუბრა.

**— ბატონო რამაზ, საპრეზიდენტო არჩევნებამდე არც ისე ბევრი დრო დარჩა. თქვენ როგორ შეაფასებდით საპრეზიდენტო არჩევნებამდე ქვეყანაში არსებულ ვითარებას და საარჩევნო კამპანიის ფარგლებში პრეზიდენტობის ძირითად კანდიდატთა აქტივობას?**

— ფაქტია, რომ ზაფხულის შემდეგ და ზაფხულისგან განსხვავებით ძალიან გააქტიურდა გიორგი მარგველაშვილი, თითქმის ყოველდღე ვხედავთ, რომ მას აქვს შეხვედრები რეგიონებში, რაც სავარაუდოს ხდის იმას, რომ დარჩენილ პერიოდში მისი რეიტინგი თუ არ მოიმატებს, არც მოიკლებს.

რაც შეეხება ე.წ. პრობლემურ „მეორე ადგილს“, გამოქვეყნებული რეიტინგებიდან ბურჯანაძესთან შედარებით უპირატესობა ბაქრაძეს ენიჭება. ზოგ შემთხვევაში ეს უპირატესობა არ სცილდება სტატისტიკური ცდომილების საზღვრებს. ეს კი, სავარაუდოს ხდის იმას, რომ ცალსახა პროგნოზი, ალბათ, არასწორი იქნება. მეორე მხრივ, მოსახლეობის დიდმა ნაწილმა, რომელმაც თავის დროზე უარი თქვა „ნაცმოძრაობაზე“, მეეჭვება, რომ დღეს ხმა მისცეს ბაქრაძეს. ამგვარი ეჭვის ფონზე სოციოლოგიური კვლევის შედეგები არადამაჯერებლად გამოიყურება და მიჩნდება აზრი: ხომ არ მოქმედებს ისევ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში შიშის ფაქტორი. თუმცა, სტატისტიკა მხოლოდ პასუხების სურათს გვიჩვენებს და ყოველთვის არ ვიცით რეალურად როგორ ფიქრობს ადამიანი ამა თუ იმ საკითხზე. ეს რომ ასეა, ერთი წლის წინანდელმა არჩევნებმა გვაჩვენა. ამიტომ, საპრეზიდენტო არჩევნებში „მეორე ადგილის“ პროგნოზი დღეისთვის შეუძლებლად მიმაჩნია. ჩემი მოსაზრება იმაზე, თუ რატომ შეიძლება იყოს მეორე ადგილზე ბურჯანაძე, მოგახსენეთ.

**— რამდენად დიდია საპრეზიდენტო არჩევნებზე მეორე ტურის გამართვის ალბათობა, რომლის შესახებაც ხშირად საუბრობენ ოპოზიციის წარმომადგენლები?**

— აქამდე ჩატარებული სოციოლოგიური კვლევებით პროცესი უფრო ერთი ტურისკენ მიიწევს. თუ გამოკვლევებში ეჭვს შევიტანთ და ამის საფუძველი გვაქვს, არჩევნების მოახლოებასთან ერთად პოლიტიკურ ძალთა აქტიურობა, ემოციების სიჭარბე და დაძაბულობის ზრდის ალბათობა სავარაუდოს ტოვებს იმას, რომ, შესაძლოა, მეორე ტური დასჭირდეს არჩევნების დასრულებას.

და კიდევ, იშვიათად ამბობენ იმაზე, თუ რა მოხდება მეორე ტურის ჩატარების შემთხვევაში. ჩემი აზრით, ვინც არ უნდა გავიდეს მეორე ტურში, „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი გაიმარჯვებს, ვინაიდან მას ახლაც უფრო მეტი აქვს რეიტინგი და მეორე ტურში მნიშვნელოვან როლს ხელისუფლების ფაქტორიც ითამაშებს.

**— რა შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე „ნაცმოძრაობის“ ყრილობამ და მისმა შედეგებმა? ყრილობაზე დავით ბაქრაძის განცხადებამ - „ჩვენი პარტია ახალი პოლიტიკური ბრძოლისთვის ემზადება“, „ჩვენ არ ვართ რევანშზე ორიენტირებული პარტია“, „ნაცმოძრაობის“ პარტიის დროშაზე ჯვრების ნაცვლად გულების გამოჩენამ, პარტიის გენმდივნად ისევ ვანო მერაბიშვილის არჩევამ, პრეზიდენტის განცხადებებმა? თქვენი აზრით, რამდენად შეძლო საპარლამენტო არჩევნებში დამარცხებულმა „ნაცმოძრაობამ“ თავის წიაღში რებრენდინგის განხორციელება, რომლის აუცილებლობაზე ამავე პარტიის გულშემატკივრები უკანასკნელ პერიოდში საკმაოდ ბევრს საუბრობდნენ?**

— რებრენდინგის ეს მცდელობა პირველი არ არის. გვახსოვს პარლამენტის ძველ შენობასთან მერაბიშვილის მიერ აპრილში ორგანიზებული მიტინგი, რომელზეც „ნაცმოძრაობის“ რებრენდინგზე იყო საუბარი. პარტიის ახალი დასახელებაც კი შესთავაზეს საზოგადოებას, მაგრამ ვნახეთ, რომ ამან ის შედეგი ვერ გამოიღო, რომ შემდგომ „ნაცმოძრაობა“ ამ გზას გაჰყოლოდა.

ჩემი აზრით, ამის ძირითადი მიზეზი გახლავთ ის, რომ რებრენდინგი პარტიის დასახელება არ არის, ეს არის სახეები, კონცეფცია და წარსულის შეფასება, რომელიც მონანიების ელემენტს უფრო მეტად მოიცავს. მონანიება საზოგადოებას დაარწმუნებდა იმაში, რომ ახალი პარტია ძველ გზას არ გაუდგება. ასეთი რამ არც აპრილში ყოფილა და არც ახლა გვინახავს. ამიტომ, „ნაცმოძრაობის“ ახალ რებრენდინგს ისეთივე შედეგი ექნება, როგორიც წინა შემთხვევაში ჰქონდა.

**— მართალია პრეზიდენტს არ დაუზუსტებია, თუ ვინ აპირებდა საქართველოში „ბაზალეთის განმეორებას“, მაგრამ ამ თემაზე საკმაოდ ბევრი ისაუბრა. თქვენი აზრით, რატომ? და კიდევ, დამკვირებელთა ნაწილი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებები უფრო საერთაშორისო თანამეგობრობის გასაგონად იყო გაკეთებული და პოსტის დატოვების შემდეგ მათგან მხარდაჭერის მოთხოვნას უფრო ჰგავდა. თქვენც ასე აღიქვით დასავლეთის გასაგონად პრეზიდენტის მიერ გაკეთებული გზავნილები?**

— პრეზიდენტი თავის განცხადებებში ხშირად რამოდენიმე მიმართულებას ფარავს ხოლმე და ამ შემთხვევაშიც ასე იყო. ახლა, უპირველეს ყოვლისა, მის ინტერესში შედის დასავლეთის მიმართულების ათვისება, მათზე შთაბეჭდილების მოხდენა. მაგრამ, ეს არ გამორიცხავს იმას, რომ მან წინასაარჩევნოდ ბაქრაძის ამომრჩეველშიც ჩადოს ის პოზიცია, რომელსაც იცავს. ეს პოზიცია არსებითად მშვიდობიანი თანაარსებობისა და კოჰაბიტაციის თემას უკავშირდება და მან ახსენა კიდეც კოჰაბიტაცია.

პრეზიდენის გამოსვლაში აქცენტი იმაზე იყო, რომ დაპირისპირების პირობებში პოლიტიკურმა ძალებმა ერთმანეთს არ უნდა უმტრონ, ანუ აქცენტი ისევ გაკეთდა იმ მიმართულებით, რომ სამართლებრივი დევნა პოლიტიკური მტრობაა და არა დანაშაულზე პასუხისგება. ქართველი საზოგადოება პარტიის რებრენდინგისას „ნაცმოძრაობისაგან“ დანაშაულის აღიარებას ვერ ეღირსა. ყრილობამ დაგვანახა, რომ „ნაცმოძრაობამ“ უარი თქვა დანაშაულის აღიარებასა და მონანიებაზე. ის, რომ „ნაცმოძრაობის“ ლიდერებმა სამართლიანობის აღდგენის თემა ისევ პოლიტიკურ დაპირისპირებად გაასაღეს, სრულიად ბუნებრივია, მაგრამ აქედან დასკვნებს „ქართული ოცნება“ გააკეთებს თუ არა, ეს არ ვიცი. „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკურ რიტორიკაში შემტევი რიხი, რბილად რომ ვთქვათ, ძირითადად „ქართული ოცნების“ პასიურობის შედეგია.

**— თქვენმა კოლეგამ, ბატონმა ვახტანგ ძაბირაძემ პრემიერს ღია წერილით მიმართა - „დაგვიანებული რეაქცია პრემიერის ღია წერილზე“. ბატონი ვახტანგი ივანიშვილისადმი წერილს რომ ამზადებდა, ექსპერტებთან პრემიერის შეხვედრაზე გაახმოვანა. წერილის მთავარი არსი დაახლოებით ასეთია — „ივანიშვილის მისია თანამედროვე ქართული სახელმწიფოს შექმნა და არა დროზე ადრე პოლიტიკიდან წასვლაა“. ამ წერილით, ბატონი ვახტანგი შეეცადა, დაერწმუნებინა პრემიერი, რომ იგი პოლიტიკიდან არ წასულიყო. თქვენი აზრით, რამდენად დიდია იმის ალბათობა, რომ ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ პოლიტიკური პროცესები, შესაძლოა, არასასურველი მიმართულებით განვითარდეს, როგორც ამას ბატონი ვახტანგი ამბობს? თქვენი აზრით, რა რეაქცია ექნება პრემიერს ვახტანგ ძაბირაძის წერილზე და გაითვალისწინებს თუ არა ივანიშვილი თქვენი კოლეგის რჩევას?**

— ექსპერტებთან პრემიერის შეხვედრის დროს ჩვენ ვნახეთ — ივანიშვილს მიაჩნია, რომ მან ამ საკითხს თავის წინა წერილებში გასცა ამომწურავი პასუხი და დამნაშავეები მხოლოდ ექსპერტები არიან იმაში, რომ მათ მისი ნათქვამი ვერ გაიგეს. მისთვის სრულიად მიუღებელია შეკამათება პოლიტიკიდან წასვლა-არწასვლის თემაზე. არა მგონია, იგი ძაბირაძის პასუხმა დააკმაყოფილოს, იმიტომ, რომ ის პრობლემები, რაც ვახტანგის წერილშიც არის განხილული, მაგალითად, კოალიციის სავარაუდო დაშლა, სახელისუფლებო წრეებსა და პარტიაში სხვადასხვა ადგილისათვის ბრძოლა და ასე შემდეგ, პრემიერს მიაჩნია, რომ ეს გადაწყვეტილია იმ გუნდის ხარისხით, რომელიც მან შექმნა. მას მოსწონს ეს გუნდი და ამ გუნდში პრობლემებს ვერ ხედავს. ასეთ ფონზე, ჩემი აზრით, პრემიერისთვის ძაბირაძის არგუმენტები მისაღები არ იქნება.

*პრეზიდენის გამოსვლაში აქცენტი იმაზე იყო, რომ დაპირისპირების პირობებში პოლიტიკურმა ძალებმა ერთმანეთს არ უნდა უმტრონ, ანუ აქცენტი ისევ გაკეთდა იმ მიმართულებით, რომ სამართლებრივი დევნა პოლიტიკური მტრობაა და არა დანაშაულზე პასუხისგება. ქართველი საზოგადოება პარტიის რებრენდინგისას „ნაცმოძრაობისაგან“ დანაშაულის აღიარებას ვერ ეღირსა. ყრილობამ დაგვანახა, რომ „ნაცმოძრაობამ“ უარი თქვა დანაშაულის აღიარებასა და მონანიებაზე. ის, რომ „ნაცმოძრაობის“ ლიდერებმა სამართლიანობის აღდგენის თემა ისევ პოლიტიკურ დაპირისპირებად გაასაღეს, სრულიად ბუნებრივია, მაგრამ აქედან დასკვნებს „ქართული ოცნება“ გააკეთებს თუ არა, ეს არ ვიცი.*

**— უკვე ცნობილია, რომ პრემიერი ექსპერტებისა და ჟურნალისტების შემდეგ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს შეხვდება. ექსპერტებთან და ჟურნალისტებთან შეხვედრის ფორმას საზოგადოებაში არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. თქვენი აზრით, ღია ეთერში ამგვარი შეხვედრებითა და საჯარო მსჯელობით რა მიზანს ისახავს და რისი თქმა სურს პრემიერს?**

— ამგვარი შეხვედრები იმ მიზანს ისახავს, რომ პრემიერს სურს თავისი პოზიცია გახადოს წამყვანი და დამაჯერებელი. მიაჩნია, რომ მან უნდა ისაუბროს საზოგადოების იმ წევრებთან, რომლებსაც საზოგადოება უჯერებს, მხედველობაში მყავს ექსპერტები, მედია და ასე შემდეგ. ჩემი აზრით, აქ შეცდომაა დაშვებული. ეს მოსაზრება ჩვენ პრემიერს შეხვერაზეც ვუთხარით.

პრემიერს ტყუილა ჰგონია, რომ საზოგადოება ექსპერტებს უჯერებს. პრემიერთან შეხვედრაზე ვიყავით რამდენიმე ექსპერტი, რომლებიც 2003 წელს ვაცხადებდით, რომ მთელი ძალაუფლების „ნაციონალებისთვის“ გადაცემა დაუშვებელია, ვინმემ დაიჯერა?! ასე რომ, ანალიტიკოსების გადაჭარბებული შეფასება, მგონი, საზოგადოებაში გაღიზიანებასაც კი იწვევს, ნაცვლად იმისა, რომ გაჩნდეს ტენდენცია, მათ სიტყვას დაუფიქრდნენ ან გააანალიზონ. ეს პრობლემა ძველი და არახალია.

ამ შეხვედრის საზოგადოებრივი რეაქციაც არაერთგვაროვანია. პირდაპირ რომ ვთქვათ, საზოგადოების დიდ ნაწილს ძალიან გაუხარდა ის, თუ როგორ გაასწორა მიწასთან ივანიშვილმა ექსპერტები. ეს სიხარული შეიძლება არსებობდეს იმ ადამიანების მიმართ, ვინც ეკრანზე ხშირად ჩანან. ძალზე იშვიათი იყო ის შეფასება, ჟურნალისტებისა და პოლიტიკაში ჩახედული ადამიანების გარდა, რომ ასეთი ნაბიჯით ივანიშვილმა უპირველეს ყოვლისა, თავის თავს გაუკეთა ცუდი საქმე.

მინისტრებზე ივანიშვილის ნათქვამმა შეიძლება ექსპერტებს საერთოდ დაუკარგოს საზოგადოებასთან დიალოგის ხალისი. ექსპერტთა უმრავლესობა, რომლებიც ივანიშვილთან შეხვედრაზე იყო, ძირითადად იმ პოლიტიკური კურსის დამცველი იყო, რომელსაც დღევანდელი ხელისუფლება ატარებს. თუ ამ პოლიტიკური კურსის დაცვას არც ის გიფასებს, ვინც ამ კურსს ქმნის, კერძოდ ივანიშვილი, არც ის, ვისთვისაც ეს კურსია სახეირო, ანუ საზოგადოება, მაშინ რისთვის ვლაპარაკობთ?! მარტო იმისთვის, რომ თქვენ, ჟურნალისტები არ დარჩეთ რესპონდენტების გარეშე?! დაახლოებით ასეთი სურათი იქმნება.

ალბათ, ანალოგიური განწყობის სურათი შეიქმნება მედიაშიც და არასამთავრობო ორგანიზაციებშიც. შესაძლოა, ჩვენ საკმაოდ მძიმე სურათი მივიღოთ იმ მხრივ, რომ ექსპერტები, მედია, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ივანიშვილთან იყვნენ, კარგს თუ იტყვიან ივანიშვილის ხელისუფლებაზე, ამას ჩაუთვლიან „პადხალიმობად“ და არ დაიჯერებენ, ცუდს თუ იტყვიან, ხელისუფლების მიმართ გაღიზიანებად ჩაუთვლიან და ისევ არ დაიჯერებენ. ის, რასაც ივანიშვილმა შეიძლება მიაღწიოს ამ ნაბიჯებით, იქნება იმ ადამიანთა სიტყვის დევალვაცია, რომლებიც საჯარო სივრცეში მის კურსს იცავენ.

თუ სოციალურ ქსელებს მივადევნებთ თვალს, ვნახავთ, რომ პრემიერის ამ შეხვედრებით აღფრთოვანებულები ძირითადად „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერები არიან. ასეთი ვითარების ფონზე რაში სჭირდებოდა ივანიშვილს ექსპერტებთან და ჟურნალისტებთან სატელევიზიო შეხვედრების ციკლი, თითქოს გაუგებარია. მეორე მხრივ, თუ იცი ივანიშვილი, როგორც პიროვნება, იცი, რომ იგი არის ძალიან კეთილი, დისკუსიისა და კამათის მოყვარული ადამიანი და მან გადაწყვიტა კამათი მათთან, ვისთანაც კამათი უნდოდა და სწორედ იმათთან, ვინც მისი მომხრეები არიან.

შეხვედრები მის ხასიათსა და სტატუსს შორის კონფლიქტის გამოვლინებაა.

**— ჟურნალისტ ინგა გრიგოლიას უკანასკნელ გადაცემა „დიდ პოლიტიკაში“ მომავალი პრემიერ-მინისტრის ვინაობაზე შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის პასუხებმა დატოვა შთაბეჭდილება, რომ ივანიშვილი პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ პრემიერად სწორედ ირაკლი ღარიბაშვილს დაასახელებს. რამდენად შეძლებს შედარებით მცირე პოლიტიკური გამოცდილების მქონე ღარიბაშვილი ქვეყნის პირველი პირის რანგში პოლიტიკური პროცესების მართვას?**

— სამწუხაროდ, ამ გადაცემას ვერ ვუყურე, მაგრამ ზოგადად ღარიბაშვილის კანდიდატურა იმთავითვე განიხილებოდა პრემიერის პოსტზე, როგორც კი ივანიშვილმა პოლიტიკიდან წასვლის შესახებ განაცხადა. ღარიბაშვილს პოლიტიკური გამოცდილების პრობლემა აქვს, შესაბამისად, არ ვიცი თუ რამდენად კომფორტული იქნება ეს თანამდებობა თავად ღარიბაშვილისთვის. თუ საჭესთან მჯდომი მძღოლი დისკომფორტს განიცდის, მანქანა შეიძლება ავარიაში მოხვდეს.

მეორე მხრივ, თუ გავითვალისწინებთ იმ ტემპს, რომლითაც ღარიბაშვილმა ალლო აუღო შინაგან საქმეთა სამინისტროს და კრიმინოგენური თვალსაზრისით ქვეყანაში მეტ-ნაკლებად სტაბილური მდგომარეობა შეინარჩუნა, მგონი ის ასევე აუღებს ალღოს ახალ როლს. რამდენად იქნება ეს სიახლე მის მიერ დაძლეული, ამას დრო გვიჩვენებს და ეს წინასწარ არავინ იცის. ასეთ მაღალ თანამდებობებზე ადამიანები არ იბადებიან, მაგრამ ასეთ სიმაღლეებთან ადამიანთა შეგუების უნარი მხოლოდ მას შემდეგ ვლინდება, როცა ამ სიმაღლეზე ავლენ.

**კობა ბენდელიანი**

№195. ხუთშაბათი, 10 ოქტომბერი, 2013 წელი.

ლტოლვილის ტკივილი

# მე ხომ ბევრს არ გთხოვ!

ღრმად მოხუცებული გახლავართ – 85 წლის, იძულებით გადაადგილებულად მომიხსენიებენ (ესეც მთრგუნავს) მიჭირს, – ნოსტალგიამ დამრია ხელი, ვწუხვარ, ვიტანჯები, მაგრამ ალბათ ჯერ შორს არის ჩემი სურვილის მიღწევა, – ჩემს სახლში მინდა დაბრუნება, იმედი არ ჩამქრალა ჩემში, ისე არ მოვკვდები, ჩემო ნაკვდავო სახლო, ხელი არ შევახო შენს ალაყაფის კარს, გავაღო ჭიშკარი და ცრემლიანი თვალებით მოგესალმო!

ჩემო ქუჩავ, შენს მიწას ჩემი 40 წლის ნაკვალევი არ შეიძლება არ აჩნდეს, ამის წაშლა არავის და არაფერს არ შეუძლია.

* * *

სოხუმო! სოხუმო! სოხუმო!

ჩემო ტკივილად ქცეულო, ნაკვდავო სახლო, ლამაზო ეზოვ, ლამაზი შენობითა და შიგ მცხოვრებლებით, სუფევდა სითბო, სიყვარული და მომავლის იმედი. ეს მცხოვრებლები ჩემი ოჯახია ჩემი მეუღლის მეთაურობით.

„რა იქნება ერთხელ მაინც გამიღიმო“ – მღერის და უკრავს დიასახლისი. ეს დიასახლისი მე ვარ, აკომპანიმენტს მიწევს გიტარაზე ჩემი შვილი (აწ გარდაცვლილი), სტუმრები მხიარულობენ. უხარია ჩემს მეუღლეს, მგონი ამაყობს კიდეც თავის ხანში შესული მეუღლე, რომ ამ დონეზეა „აბა შენ იცი, ჩემო დედოფალო!“ იუმორით მიმართავს მას.

ღმერთო, არ იფიქრო, იმდენად თავხედი ვარ, გსაყვედურობ, ამას ვერ გკადრებ, მაგრამ მაინც. მე ხომ ბევრს არ გთხოვდი, მხოლოდ იმას, რაც მე და ჩემმა მეუღლემ შევქმენით, ის შემრჩენოდა. მხოლოდ ის მინდოდა, გამეღო ჭიშკარი ყოველთვის, ჩემს ნაკვდავ სახლში შევსულიყავი, მყუდრო კუთხე მქონოდა, წყნარი მოხუცებულობა მქონოდა, ვითომ ბევრი იყო?

მინდოდა, დილით ავმდგარიყავი, ხილი დამეკრიფა (არა, ჭამა კი არ მინდოდა), სიხარული მეგრძნო, მოვფერებოდი, გულში ჩამეხუტებინა ნაყოფი, სახლში შემეტანა, ჩემი მეუღლის გაბრწყინებული და კმაყოფილი თვალებისთვის შემეხედა, რომლებშიც სიამაყე გამოსჭვივოდა - „ეს მე შევქმენიო“.

ვითომ ბევრია! მე ხომ ბევრს არ ვთხოულობდი? რატომ? რისთვის?

# სპილენძის კარდალა

ახალაშენებულ ორსართულიან სახლში (ოჯახში) ბებოს ელიან. ბებო გურიიდან ჩამოდის აფხაზეთში. მას გურიაში აღარავინ დარჩა ოჯახის წევრებიდან. შვილები დაოჯახდნენ და სხვადასხვა მხარეს ააწყვეს ცხოვრება. მეუღლე კი აღარ ჰყავს. ძალიან გაუჭირდა ბებოს ოჯახის მიტოვება. მიტოვება ნაკვდავი სახლისა. იხედებოდა იქით-აქეთ. თვალებს აცეცებდა – რამე ხომ არ მრჩება ჩემი ნივთებიდანო. სახლი გაყიდა. ნუგეშად კი ის დარჩა, რომ მისმა მაზლისშვილმა იყიდა (ბედნიერებაში მოახმაროს, სახლს თუ შემატებს რამეს, თორემ არაფერს დააკლებს). უკანასკნელად შეავლო თვალი ნაკვდავ სახლს, პირჯვარი გადაიწერა, კედელს მიეყრდნო, ცრემლები მოიწმინდა და ხმაც შემოესმა – „ბიცოლა, ჩქარა, თორემ დაგვაგვიანდებაო“, კალთაზე ხელები ჩამოისვა და გაუდგა გზას უცნობ სამყაროში, თუმცა შვილებთან საცხოვრებლად! ოი, ეს უნდა წაიღოს, ეს – სპილენძის კარდალა, ღომის მოსახარშად გამოადგება. წამოავლო ხელი და აჩქარებული გავიდა ეზოდან. მაზლიშვილს გაეღიმა კარდალას დანახვაზე: „ნეტავ ვის რად უნდა, ბიცოლა, შენი ძველი გამურული სპილენძის კარდალა სოხუმში“?!



„ბებო, კეთილი იყოს შენი ფეხი სოხუმში, შენი შვილის და რძლის ოჯახში! აქ შენი შვილი გელის, მას უყვარხარ“! ბავშვები გახარებულები შეხვდნენ ბებოს, რძალიც ძალიან თბილად. მას ხომ ბებოს შვილი ძალიან უყვარს. მისი დედაც უნდა შეიყვაროს, არა როგორც დედამთილი, არამედ ოჯახის სრულუფლებიანი წევრი.

ბებო დაღლილია, პალტოს იხდის, თავშალს იხდის და სპილენძის კარდალას იქვე წითლად შეღებილ გაპრიალებულ იატაკზე დებს. რძალი ირიბად უყურებს კარდალას, ხელში იღებს და გარეთ კიბის ქვეშ, არც თუ საპატიო ადგილას დებს.

დედამთილს სწყინს, – კარდალა ძველი ნივთია, ბებიას ნაჩუქარი. ვერ აჯერებენ, რომ კარდალას ადგილი ბუხარში იყო აქ კი გაზის ღუმელზე ამხელა „მახინას“ ვერ დადგამენ. ბებო ხმას არ იღებს, მაგრამ ნაწყენგაკვირვებული ვერ ხვდება, მამაპაპურ ნივთს რას ერჩიან. „ბებო, ალბათ ეს კარდალა შენს ახალგაზრდობაში ფასობდა, დღეს უკვე, ლამფისა არ იყოს, აღარ არის საჭიროო“!

ბებო გულნატკენია.

# ალუმინის ქვაბი

ოჯახი თავისივე ქვეყანაში ლტოლვილად იქცა. რა თქმა უნდა, თავისებური სიძნელეები შეხვდა ოჯახის თითოეულ წევრს. უკვე ხანში შესული ცოლ-ქმრისთვის ყველაფრის ახლად დაწყება ძნელი აღმოჩნდა. ვაჟიშვილი და რძალი აღარ მუშაობენ, ბავშვები პატარები არიან, მაგრამ სასოწარკვეთილებაში არ ჩავვარდნილვართ. ცხოვრება გრძელდებოდა. ცოტ-ცოტა ოჯახს ემატებოდა „დოვლათი“ (რა თქმა უნდა შეზღუდულად), თითოეულ შენაძენს თავისი ხალისი აქვს. ოჯახის უფროსი დიასახლისი თითოეულ შენაძენს უფრთხილდება, ვაჟიშვილს ბევრი ძველი ნივთი არ მოსწონს და მზად არის გადააგდოს, მოიშოროს. ახლა სულ სხვა გემოვნებით ირჩევენ ნივთებს. შვილს არ უნდა დროს ჩამორჩეს, – ვერ იტანს როცა გაზის ღუმელზე, ხანდახან ალუმინის ქვაბს ხედავს.

დედას საკმაოდ უხეშად აძლევს შენიშვნას, რომ ამ ქვაბში არ გააკეთოს საჭმელი. დედას უკვირს, რას ერჩის თეთრ, სუფთა „ალუმინს“! მაგრამ, თავის თავს ეუბნება, „უკან მიიხედე, შენც ხომ ასე ატკინე გული ბებოს“?! ნავთის ლამფაც ამაზე არ წუწუნებდა?

**ბნელ კუთხეში მიგდებული,**
**ნავთის ლამფა წუწუნებდა,**
**სანამ ვიყავ ახალგაზრდა**
**მე არავინ მაწუხებდა.“**

შემდეგი რა იქნება? შენ რას იზამ?

**ლილი ტყემალაძე-მშვიდობაძისა,**
**ქ. სოხუმის მე-17 სკოლის ყოფილი პედაგოგი.**

# თანამდებობის მაძიებელთა შემოტევებით აღარ დაკავდებით!



**როგორც სამთავრობო კულუარებში აცხადებენ, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების რეორგანიზაცია იგეგმება და აფხაზეთის მთავრობის სტრუქტურები იმ მინიმუმადე შემცირდება, რაც ლეგიტიმური ხელისუფლების იურიდიულად არსებობისათვის აუცილებელი იქნება. სწორედ ამ მიზნებით არის გამოწვეული ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ლეგიტიმური მთავრობის საკითხებში ჩაურევლობა თუ, მათ მიენიჭათ მეტი დამოუკიდებლობა? ამის შესახებ for.ge აფხაზეთის მთავრობის ახალ ხელმძღვანელს ვახტანგ ყოლბაიას ესაუბრა.**

**– რით იყო განპირობებული ზემო აფხაზეთის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის ლიკვიდაციის აუცილებლობა?**

– სამინისტროს ლიკვიდაცია, უბრალოდ, შესაბამისობაში მოვიდა რეალობასთან. ესა თუ ის უწყება დღეს არის, ხვალ შეიძლება არ იყოს, როგორც ამას საჭიროება მოითხოვს. აქედან რაიმე დასკვნის გაკეთება და აჟიოტაჟი არ მიმაჩნია მიზანშეწონილად. ადამიანებს შემცირება არ შეხებიათ, ეს იქნება წარმომადგენლობა რეგიონალურ სამმართველოში, ან პირდაპირ მთავრობის დაქვემდებარებაში და ვერაფერ ტრაგედიას ამაში ვერ ვხედავ. რეორგანიზაცია და რაღაც ცვლილებები, ალბათ, იქნება, მაგრამ სხვა სტრუქტურული ცვლილებები, დღეს და ხვალ, აფხაზეთის მთავრობაში არაფერი იგეგმება.

**– აფხაზეთის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შემდეგ გარკვეული ჯგუფები აცხადებენ, რომ ლეგიტიმური ხელისუფლება საქართველოს კონსტიტუციის სივრციდან გავიდა. მათ ცენტრალურ ხელისუფლებას რეაგირებისკენ მოუწოდეს...**

– საკონსტიტუციო ცვლილებებში დარღვევა რომ არ არის, ამის შესახებ უკვე განვმარტეთ. ყველაფერი არსებული კონსტიტუციის ფარგლებში მოხდა. დარღვევაზე ზურაბ ხარატიშვილმა ისაუბრა და ჯობია, მან თავის საარჩევნო კამპანიას მოუაროს. ჩემ წინააღმდეგ აგორდა უსაფუძვლო, ყურით მოთრეული ბრალდებები. უკმაყოფილო ადამიანები აქაც ისინი იქნებიან, ვისაც მინისტრის სავარძლის დატოვება მოუწია. რა თქმა უნდა, ისინი წინააღმდეგები და უკმაყოფილონი იქნებიან და ამ პროტესტს, ალბათ, გააგრძელებენ. ჩვეულებრივი ამბავია, რომ მოვიდა ახალი თავჯმდომარე და ახალი მინისტრთა კაბინეტი.

**– აფხაზეთის ლეგიტიმურ მთავრობაში მიმდინარე მოვლენებზე ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან, ფაქტობრივად, არანაირი შეფასებები არ გაკეთებულა. ეს მეტ დამოუკიდებლობაზე მიანიშნებს, თუ მეტ იგნორირებაზე?**

– აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას აქვთ თავისი კონსტიტუცია, თავისი დისკრეცია. ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების კონსტიტუციაში უხეში ჩარევა იყო, როდესაც საკაშვილმა შემოგვთავაზა ცვლილება, რომლის მიხედვითაც მთავრობის თავმჯდომარის დანიშვნა თანხმდებოდა პრეზიდენტთან. ეს არის ავტონომიურობის და დამოუკიდებლობის უხეში დარღვევა. ახლა აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ რაღაცნაირად შეძლო რეფორმების გატარება თავის კონსტიტუციაში, რომელიც მის დამოუკიდებლობას და ავტონომიურობას უსვამს ხაზს. აქ დარღვევა კი არ არის, არამედ მიდის იმ უფლებების აღდგენა, რომელიც აფხაზეთის მთავრობას და სტრუქტურებს ჰქონდათ. ცვლილებები კი მართლაც არის პირველი ნაბიჯი ავტონომიურობისაკენ.

**– ლეგიტიმური ხელისუფლება წლების მანძილზე დიდი აქტიურობით არ გამოირჩეოდა. რა შეიცვლება ახალი მინისტრთა კაბინეტის პირობებში?**

– არა მარტო აფხაზეთის მთავრობის აქტიურობა, ქვეყანაში სხვა სტრუქტურების აქტიურობაც არ შეინიშნებოდა. ვინც აქტიურობდა და რა მიმართულებით, ამის შედეგები ძალიან კარგად გამოჩნდა. რაც შეეხება აფხაზეთის სტრუქტურებს, ძალიან სერიოზულ უკმაყოფილებას დევნილ მოსახლეობაში იწვევდა მათი პასიურობა. მოხდება გააქტიურება, მორგებული რეალურ სიტუაციასთან. აფხაზეთის სტრუქტურებს არ აქვთ შესაძლებლობა, რომ მოახდინონ ისეთი გარღვევა, ხვალვე ეშველოთ ჩვენს დევნილებს. ჩვენ დავიწყეთ მუშაობა, ამ მომენტისთვის განვიხილავთ დევნილთა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით აპლიკაციის შევსების პროცესებს, სახლების მშენებლობის, რეაბილიტაციის საკითხებს. უშუალოდ ხალხთან მიმდინარეობს მუშაობა.

აღნიშნულ საკითხებზე, ჩვენი ინფორმაციით, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო მუშაობს...

ჩვენ სამინისტროს კომპეტენციაში ვერ შევიჭრებით, მაგრამ გვინდა, მას უფრო აქტიურად დავუჭიროთ მხარი, ვითანამშრომლოთ და მათაც დაუჭირონ მხარი ჩვენს გეგმებს.

**– ანუ, დევნილები რეალურად იგრძნობენ, რომ აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების სტრუქტურები მათთვის მუშაობენ?**

– ჩვენი მთავრობის მიზანი და დანიშნულება არის ხალხთან ყოფნა და მათი გაჭირვების მიტანა ცენტრალურ ხელისუფლებასთან. იმ ფარგლებში რა კომპენტენციაც გააჩნია, გაუწიოს ოპერატიული დახმარება, არ დაიხიოს უკან, არ მიიმალოს ბუჩქებში. სამწუხაროდ ისე მოხდა, რომ ბოლო 4-5 თვე უაზრო დაბრკოლებების წრეში ვიყავი ჩაკეტილი. დაკავებული ვიყავი უაზრო განმარტებებით. არადა უაზრო კამათის და უაზრო ჭიდილის დრო არ არის, ჩვენ უნდა ვაკეთოთ ჩვენი საქმე. იმედია, აწი მაინც მოგვეცემა საშუალება, რომ არ ვიყოთ დაკავებული თანამდებობების მაძიებელთა შემოტევებით. ვწუხვარ, რომ ხმამაღლა მიწევს ამაზე ლაპარაკი, მაგრამ 10-20 წელი მუშაობდნენ თანამდებობებზე მინისტრებად, მოადგილეებად. ახლა კი მოვიდა ახალგაზრდა თაობა. ასევე, ყველა ასაკს მივეცით შესაძლებლობა, ახალ მინისტრთა კაბინეტში არიან 30-50 წლამდე ადმიანები, რომლებიც ახალი შემართებით, ერთ გუნდში, მზად არიან, აკეთონ ის საქმე, რასაც დევნილები მათგან ელიან.

**– თქვენ ნინო ბურჯანაძის გუნდის წევრი ბრძანდებით, რომელიც მმართველ გუნდთან ოპონირებს. ხომ არ შეუშლის ხელს ეს ფაქტორი თქვენს კოორდინირებულ მუშაობას ცენტრალურ ხელისუფლებასთან?**

– ამის გამო მე დისკომფორტი არ მიგვრძნია არც ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან, არც ნინო ბურჯანაძისა თუ სხვა პარტიების მხრიდან. მე ვაკეთებ ჩემს საქმეს. მე ვარ დევნილების პრობლემების სამსახურში, მათ განკარგულებაში და ამიტომ ძირითადი ჩემი მიმართულება იყო და არის დევნილების პრობლემებზე მუშაობა.

**– სახელისუფლებო კულუარებში აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის სტრუქტურების მინიმუმამდე შემცირებაზე საუბრობენ. თქვენ თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამის შესახებ?**

– არ ვიცი, საიდან გაქვთ ეს ინფორმაცია. მე არ ვადასტურებ და შეიძლება ვიღაცას რაღაცის სურვილი აქვს, მაგრამ ასეთი არაფერი იგეგმება.

**მარინა ხარძიანი**

# ს.ს.ი.პ - გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| | | |
|---|---|---|
| **ობიექტი № 1** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | **ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია:**<br>ა) უზრუნველყოს მილსადენის სისტემის მოწყობა/მშენებლობა;<br>ბ) უზრუნველყოს მინერალური წყლის „მიტარბის" საბადოსა და წყლის ჩამომსხმელ საწარმოს შორის წყლის ტრანსპორტირება მხოლოდ მათი დამაკავშირებელი მილსადენის საშუალებით;<br>გ) აწარმოოს მონიტორინგული დაკვირვება წყლის დებიტზე, ტემპერატურასა და ქიმიურ შემადგენლობაზე;<br>დ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, უზრუნველყოს სანიტარული ზონების დაადგენა და დაცვა;<br>ე) ექსპლუატაციის პერიოდში აწარმოოს მუდმივი ჰიდროქიმიურ-რეჟიმული დაკვირვებები და სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური კონტროლი;<br>ვ) ექსპლუატაციის პერიოდში აღკვეთოს წყლის არამიზნობრივი დაღვრა და დაიცვას სანიტარული ნორმები;<br>ზ) მოპოვებული მიწისქვეშა მინერალური წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>თ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>ი) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მინერალური წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათი მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მინერალური წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>კ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ლ) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>მ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაცია;<br>ნ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მიზნით გაცემული ლიცენზიის ფარგლებში კერძო საკუთრებაში არსებულ მიწაზე სალიცენზიო საქმიანობა განახორციელოს მხოლოდ მესაკუთრესთან შეთანხმებით;<br>ო) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). |
| | | პ) დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, ასევე, სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაბამისი დასკვნით (გეოსაინფორმაციო პაკეტი) განსაზღვრული პირობები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ბორჯომის მუნიციპალიტეტი, სოფ. პატარა მიტარბის მიმდებარე ტერიტორიაზე „მიტარბის" საბადოს მინერალური (ჩამოსასხმელი) წყალი (კატეგორია - A+C₁, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 50 114,5 მ³ წელიწადში, მათ შორის A კატეგორია 38 434,5 მ³ წელიწადში, ხოლო C₁ – 11 680 მ³ წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ბორჯომის მუნიციპალიტეტი, სოფ. პატარა მიტარბის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 903 892 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 90 389,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 180 978 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 10 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 11 ნოემბერს 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 11 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 11 ნოემბერს 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| | | |
|---|---|---|
| **ობიექტი № 2** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაიცვას საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. აგარის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მტკვარზე „აგარის" ქვიშა, ხრეშის საბადო (კატეგორია - A+B+C₂, მოსაპოვებელი წიაღისეულის (ორი უბანი) ჯამური მოცულობა - 491 100 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. აგარის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 65 850 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 6 585 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 13 370 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 10 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 11 ნოემბერს 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 11 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 11 ნოემბერს 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| | | |
|---|---|---|
| **ობიექტი №3** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაიცვას საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. ახალციხის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ფოცხოვისწყალზე „ფოცხოვისწყლის" ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 66 000 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. ახალციხის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 9 421 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 942,1 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 084 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 10 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 11 ნოემბერს 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 11 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 11 ნოემბერს 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 4 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| | | |
|---|---|---|
| **ობიექტი №4** | | |
| ბუნებრივი რესურსებით | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაიცვას საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. აგარის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მტკვარზე „აგარის" ქვიშა, ხრეშის საბადო (კატეგორია - A+B, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 90 000 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. აგარის მიმდებარე მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 12 068 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 206,8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 614 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 10 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 11 ნოემბერს 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 11 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 11 ნოემბერს 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| | | |
|---|---|---|
| **ობიექტი №5** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაიცვას საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის | თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვედა სიმონეთის მიმდებარე |

| | | |
|---|---|---|
| | კონკრეტული ობიექტი | ტერიტორია, მდ. ყვირილის ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მისაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 379 200 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვედა სიმონეთის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 50 845 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 5 084,5ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 10 369 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 10 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 11 ნოემბერს 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 11 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 11 ნოემბერს 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №6** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისათვის მიღებული უსაფრთხოების ნორმების დაცვით.<br>ბ) მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. ივანოვკის მიმდებარე ტერიტორია, „ივანოვკის" (I და II უბანი) გრანიტოიდების (ღორღი) გამოვლინება (კატეგორია - P, მისაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 19 000 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. ივანოვკის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 10 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 11 ნოემბერს |
| | დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 11 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 11 ნოემბერს 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №7** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფ. კირცხის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ხობისწყალზე „ხობისწყლის" ქვიშა, ხრეშის (I და II უბანი) გამოვლინება (კატეგორია - P, მისაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 26 100 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფ. კირცხის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 4 243 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 424,3 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 049 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 10 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 11 ნოემბერს 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 11 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 11 ნოემბერს 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №8** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ლეჟბადინის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ხრამზე „ლეჟბადინის" ქვიშა, ხრეშის (I, II და III უბანი) საბადო (კატეგორია - $C_1+C_2$, მისაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 81 900 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ლეჟბადინის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 982 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 098,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 396 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 10 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 11 ნოემბერს 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 11 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 11 ნოემბერს 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ბიექტი №9** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოება დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის |
| | | მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწყობა, ხოლო თვითმდინი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაცია. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) სანიტარული ნორმების მიხედვით უზრუნველყოს ობიექტის (ჭაბურღილის) შემოღობვა;<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. ქუთაისის ჯავახიშვილის ქუჩა №83ა, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მისაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 87 600 მ³ წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. ქუთაისის ჯავახიშვილის ქუჩა, №83ა |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 2 831 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 283,1 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 766 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 10 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 11 ნოემბერს 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 11 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 11 ნოემბერს 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# „იმედი“ 400 მილიონ დოლარად შეაფასეს

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროში აღმოაჩინეს საიდუმლო შეთანხმება ქვეყნის წინა ხელისუფლებასა და აწგარდაცვლილი ბიზნესმენის ბადრი პატარკაციშვილის მემკვიდრეებს შორის მისი ოჯახის უარის შესახებ პრეტენზიებზე ტელეკომპანია „იმედთან“ დაკავშირებით აქტივების სანაცვლოდ, რომელთა ღირებულებაც 400 მილიონი დოლარია. პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა ამ შეთანხმებას „ბიზნესზე ზემოქმედების აღმაშფოთებელი მაგალითი“ უწოდა.**

გარდაცვლილი მილიარდერის ბადრი პატარკაციშვილის მემკვიდრეებთან უპრეცედენტო გარიგების შესახებ საქართველოს პრემიერმა განაცხადა საინფორმაციო სააგენტო „გურია ნიუსთან“ ინტერვიუში. **„წინა ხელისუფლებამ პატარკაციშვილის ოჯახს გადაუხადა დაახლოებით 400 მილიონი დოლარი „იმედისთვის“,** — განაცხადა ბატონმა ივანიშვილმა. — **შეთანხმებას ადევს გრიფი**

**საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ თავისი წინამორბედების საიდუმლო დოკუმენტი გაამჟღავნა**

**„საიდუმლო“, და მისი გაცნობა გახდა შესაძლებელი ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ“.**

ადრე პრემიერი გადაკვრით მიუთითებდა ასეთი გარიგების არსებობის შესახებ. **„სააკაშვილის გუნდმა ბადრი პატარკაციშვილის ოჯახთან დადო საიდუმლო შეთანხმება, და მე ძალიან აღვშფოთდი, როდესაც გავიგე, თუ როგორ ზემოქმედებას განიცდიდა ეს ოჯახი ხელისუფლების მხრიდან“,** — განაცხადა მაშინ ბიძინა ივანიშვილმა, თუმცა, დეტალები არ გაუმჟღავნებია.

ჩვენი მონაცემებით, საკითხი შეეხება 2011 წლის გარიგებას, როდესაც პრეზიდენტ სააკაშვილის ადმინისტრაციის მაღალი რანგის წარმომადგენელსა და ბადრი პატარკაციშვილის მემკვიდრეებს შორის ლონდონში გაფორმდა საიდუმლო დოკუმენტი, რომლის თანახმადაც პატარკაციშვილის ოჯახი უარს აცხადებდა პრეტენზიებზე გარდაცვლილი ბიზნესმენის საყვარელ ტელეკომპანია „იმედთან“ დაკავშირებით. იგი გადაეცა პრეზიდენტის უახლოესი გარემოცვის წევრებს და დარეგისტრირდა ოფშორულ ზონაში. სანაცვლოდ ოჯახმა მიიღო აქტივები საერთო ღირებულებით 400 მილიონი დოლარი, მათ შორის კომპანია „ქართული ფოლადი“, ესე იგი რუსთავის მეტალურგიული ქარხანა.

საიდუმლო შეთანხმების შესახებ დაადასტურა ბადრი პატარკაციშვილის ქვრივმა ინა გუდავაძემაც, რომელმაც გამოთქვა მზადყოფნა „გამოაქვეყნოს დოკუმენტი იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობის თანხმობის შემთხვევაში“.

# გენადი ონიშჩენკო კვლავ „პახმელიაზეა“

**რუსულ ბაზარზე, შესაძლოა, შვიდი ქართული კომპანიის მიერ წარმოებული ალკოჰოლური პროდუქციის 28 სახეობა არ დაიშვას.**

**ამის შესახებ „ბიბისი“ იუწყება, რომელიც რუსეთის მთავარი სანიტარის განცხადებას ეყრდნობა, ვისაც ქართული კვლავ ისევ არ მოსწონს.**

გენადი ონიშჩენკომ ქართული ალკოჰოლური პროდუქციის რამდენიმე სახეობა კვლავ დაიწუნა და განაცხადა, რომ მოსკოვი რუსულ ბაზარზე ქართული ალკოჰოლური პროდუქციის 28 სახეობის დაშვებაზე უარს ამბობს.



მისი განმარტებით, ბოლო კვირის განმავლობაში, 28 საექსპორტო დასკვნა გაფორმდა, რომელშიც ნათქვამია, რომ წარმოდგენილი პროდუქციის ნიმუშები მოთხოვნებს არ შეესაბამება.

**„ექსპერტიზის შედეგებით, 28 დაწუნებულ კომპანიას შორის არიან — „იმედი 96“, „შუხმან ვაინს ჯორჯია“, „ძმები ასკანელები“, „ახალშენი 2005“ და ა.შ. ქართული ღვინის ნიმუშებზე ასეთი უარყოფითი დასკვნები იმაზე მიუთითებს, რომ ქართული ღვინის ყველა მწარმოებელმა არ გაიაზრა ყველა გაკვეთილი იმ მრავალწლიანი სიტუაციიდან, რომელიც რუსეთსა და საქართველოს ჰქონდა. ყოველივე ეს იმის საფუძველს გვაძლევს, რომ საქმიანი ურთიერთობების დამყარების თაობაზე ქართული მხარის მისწრაფებას გადავხედოთ. ყოველივე ამან კიდევ ერთხელ დაგვაეჭვა ქართული მხარის სურვილში, დაამყაროს გრძელვადიანი სტაბილური და ცივილური ურთიერთობები, რომლის მთავარი საყრდენი შეიძლება იყოს რუსულ ბაზარზე წარმოდგენილი სტაბილურად ხარისხიანი ღვინის სახეობები“,** — აღნიშნა ონიშჩენკომ, რომლის განცხადებასაც საქართველოში შეფასებები უკვე მოჰყვა.

როგორც for.ge-ს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ დავით შერვაშიძემ განუცხადა, ქართულმა მხარემ უნდა ნახოს, თუ რაშია საქმე.

**„ეს არის წმინდა ტექნიკური საკითხი. რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქციის რეალიზებას პრობლემები არ შეექმნება“,** — აღნიშნა შერვაშიძემ.

საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ლევან დავითაშვილი კი განმარტავს, რომ შენიშვნები იყო გამოთქმული 28 პროდუქტთან დაკავშირებით, რომელთა ნაწილი განმეორებით შემოწმდა და რუსეთის ბაზარზე დაიშვა.

**„თითოეული პროდუქტი, შესაძლოა, ისეთი ორიგინალური იყოს, რომ რუსეთის სტანდარტებში საერთოდ არ ჯდებოდეს. თითოეული ქართული კომპანია 30-40 დასახელების პროდუქტს აწარმოებს. სრულიად ბუნებრივი პროცესია, რომ შენიშვნები არსებობდეს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სახელმწიფო რეგისტრაციის პროცესი ასეთი გრძელი და ბიუროკრატიულია. ამიტომ, ცალკეულ პროდუქტებთან დაკავშირებით შენიშვნების ახსნა შეიძლება და ამაში პრობლემურს ვერ ვხედავ“,** — აცხადებს დავითაშვილი.

აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიგლა აგულაშვილი კი, ქართული პროდუქციის დამოუკიდებელ ლაბორატორიაში შემოწმებაზე საუბრობს.

**„ცალკეული ადამიანებისა და პოლიტიკოსების განწყობებზე არ უნდა ვიყოთ დამოკიდებული და ობიექტური რეალობების დადგენის შესაძლებლობა უნდა იყოს. მხარეები უნდა შევთანხმდეთ, რომ ნდობით აღჭურვილი ლაბორატორიები არსებობს, რომელთა მიერ შემოწმებული პროდუქტის ხარისხსაც ორივე მხარე აღიარებს. ასეთ შემთხვევაში, ასეთი ტიპის განცხადებებს აღარ უნდა ველოდოთ. ონიშჩენკოს განცხადება თუ რას ეყრდნობა, ეს უცნობია, მაგრამ მას მკაცრი განცხადებების კეთება სჩვევია“,** — განუცხადა for.ge-ს აგულაშვილმა.

დეპუტატი მიიჩნევს, რომ ქართული პოლიტიკა მიზნად ისახავს მაღალხარისხიანი პროდუქტის წარმოება.

**„ამ პოლიტიკას გავაგრძელებთ რუსეთთან ერთად, თუ მის გარეშე და მოსკოვი იყიდის თუ არა ქართულ ღვინოს, ამის გამოცდილება ერთხელ უკვე გვქონდა, როცა ემბარგო დაგვიწესეს. მაშინ ქართული ღვინის წარმოება კი არ მოკვდა, როგორც ამას ზოგი ელოდა, არამედ, პირიქით, განვითარდა და საერთაშორისო არენაზე ბაზრების დივერსიფიცირება მოახერხა. დივერსიფიცირებული პოლიტიკის გაგრძელება მოხდება და ქართული ღვინის პოპულარიზაცია გაგრძელდება. ჩვენს სტრატეგიაში რუსეთს პირველი ადგილი ნამდვილად არ უკავია“,** — განაცხადა აგულაშვილმა.

მოხდება თუ არა 28 სახეობის ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე აკრძალვა, ეს ამ დრომდე არ კონკრეტდება. არსებული ინფორმაციით კი, 630-ზე მეტ ქართულ პროდუქტს რუსეთში სახელმწიფო რეგისტრაცია უკვე გავლილი აქვს და ექსპორტი შეუფერხებლად მიმდინარეობს.

**თეონა მანაგაძე**

# მისცემენ პუტინს ნობელის პრემიას?

**რუსეთის პრეზიდენტს ასახელებენ მშვიდობის ნობელის პრემიის მისაღებად. და საერთოდ, ვის აქვს უფლება დაასახელოს კანდიდატურები ამ პრემიის მისაღებად?**

**ვ.სვისტუნოვი, მოსკოვი**



**1901 წლიდან** ეს ჯილდო 17 სახელმწიფოს მეთაურმა და მთავრობის თავმჯდომარემ მიიღო. ა.ნობელის ანდერძის თანახმად, პრემიას ანიჭებს ხუთი ექსპერტი, რომლებსაც ნიშნავს ნორვეგიის პარლამენტი (დანარჩენ „ნობელიანტებზე“ შვედები მუშაობენ). თავისი კანდიდატის დასახელება მომდევნო წლისთვის შეიძლება 1 თებერვლამდე, თანაც განაცხადი შეიძლება გაგზავნო უბრალოდ ელექტრონული ფოსტით. მაგრამ ამის გაკეთება შეუძლიათ მხოლოდ გასული წლების ლაურეატებს, ნორვეგიის ნობელის კომიტეტის ყოფილ ან მოქმედ წევრებსა და მრჩევლებს, საერთაშორისო სასამართლოების წევრებსა და საერთაშორისო უნივერსიტეტების პროფესორებს, ეროვნული პარლამენტებისა და მთავრობების წევრებს. პირობა შესრულებულია: რუსეთის პრეზიდენტის სასარგებლოდ ერთ-ერთი ხელმომწერია რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის დეპუტატი იოსებ კობზონი. **„ჩვენი პრეზიდენტი, რომელიც ცდილობს შეაჩეროს სისხლისღვრა** (სირიაში — რედ.), **ღირსია, ჩემი აზრით, ამ მაღალი წოდებისა“,** — განმარტა ბატონმა კობზონმა. დაეთანხმებიან თუ არა მას კომიტეტის წევრები, ცნობილი გახდება შემდეგ ოქტომბერს.

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

## დედამიწის ზურგზე



**მგზავრმა შეძლო დაესვა თვითმფრინავი ბრიტანეთის აეროპორტში, როდესაც მფრინავს გული წაუვიდა**

საგანგებო შემთხვევა მოხდა, როდესაც მსუბუქმოტორიანი თვითმფრინავი ასრულებდა სასწავლო ფრენას. მგზავრს ჰქონდა საჰაერო ხომალდის მართვის ერთგვარი გამოცდილება, მაგრამ იგი მას არასოდეს დაუსვამს, ასე რომ, წარმატებული დასმა მან შეძლო მხოლოდ მესამე მცდელობით. ამგვარი ისტორიები ხშირად ხდება.

* * *

**აზერბაიჯანში სტარტი აიღო პრეზიდენტის არჩევნებმა — აქ უმაღლეს პოსტზე პრეტენზიას ათი კანდიდატი აცხადებს**

თავდაპირველად არჩევნები დანიშნული იყო 16 ოქტომბრისთვის, მაგრამ ყურბან-ბაირამის გამო კენჭისყრის დღე გადაიტანეს 9 ოქტომბრისთვის. კენჭისყრა მიმდინარეობს 5491 უბანზე სახელმწიფოს ტერიტორიაზე და სადიპლომო მისიებში მსოფლიოს 38 ქვეყანაში. აზერბაიჯანის საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებულია, გამოაქვეყნოს არჩევნების შედეგები კენჭისყრიდან 14 დღის შემდეგ.



* * *

**დედამიწაზე დაიწყო მაგნიტური ქარიშხალი, რომელიც მზის პლაზმის გამონაბოლქვის პროვოცირების შედეგად მოხდა**

დაახლოებით შუაღამისას გაანგარიშებულმა საპლანეტო ინდექსმა გეომაგნიტური მღელვარების ხუთ ნიშნულს მიაღწია. ექსპერტების პროგნოზით, 10 და 11 ოქტომბერს პლანეტის მაგნიტოსფერო ასევე იქნება მღელვარების ფორმაში. უქმე დღეებისთვის ვითარება მოწესრიგდება.

* * *

**აშშ-ში ადრეული თოვლის მსხვერპლი 4 კაცი გახდა**

ამერიკის შტატებს — სამხრეთი დაკოტა, ნებრასკა, აიოვა, ვაიომინგი და კოლორადო — თავს დაატყდა ძლიერი თოვლი. მეტეოროლოგების მონაცემებით, ზოგიერთ ადგილზე თოვლის ნალექმა 120 სანტიმეტრი შეადგინა. ამას გარდა, სამხრეთ დაკოტას შტატში, რომელიც სახელგანთქმულია ჯიშიანი ფრთიანი პირუტყვით, ქარიშხლების გამო ბევრმა ფერმერმა 20-დან 50 პროცენტამდე პირუტყვი დაკარგა.

* * *

**კატები განიცდიან სტრესს, როდესაც მათ ხელს უსვამენ, ამტკიცებენ მეცნიერები**

ასეთ მოულოდნელ დასკვნამდე მივიდნენ მკვლევარები ბრაზილიიდან, ავსტრიიდან და დიდი ბრიტანეთიდან. მათი სიტყვებით, კატების ორგანიზმში, როდესაც მათ ხელს უსვამენ, გამომუშავდება „სტრესის ჰორმონი“ — კორტიზოლი.

* * *

**ჩინეთში ტაიფუნ „ფიტოუსგან“ შვიდი მილიონი კაცი დაზარალდა, ზარალი ორ მილიარდ დოლარად შეაფასეს**

აღმოსავლეთ ჩინეთის ჩჟეცზიაცის პროვინციის 11 ქალაქში დაზარალდა 7 მილიონი კაცი, 6 დაიღუპა, ოთხი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. რეგიონში დაზიანდა გზები, ბევრი დასახლებული პუნქტი ელექტროენერგიის გარეშე დარჩა. მდინარე იაოცზეანზე და ზოგიერთ დიდ წყალსაცავზე მოირღვა დამბები.



## რეპორტაჟული ინფორმაცია

# ორი სევდანარევი სიხარული – გვერდიგვერდ...

ორივე გუდიაშვილის ქუჩაზე მელოდა. ერთი – პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში, – მეორე – ქუჩის ბოლოს, ხელოვნების მუზეუმში.

აი, ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გახსნილია თბილისობისადმი მიძღვნილი გამოფენა **„კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს“**, იგი მომზადებულია თავად ბიბლიოთეკის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივისა და თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმის მასალებით. დარბაზს კი ტრადიციულად „განაგებს“ ეროვნული ბიბილოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური და მუდამ საქმიანი ქალბატონი ნინო გედენიძე.



გამოფენაზე წარმოდგენილია მიხეილ ქვლივიძის ლექსის – **„კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს“** ადრესატის გიორგი შავგულიძის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ფოტო და ვიდეომასალა, მსახიობის შვილიშვილის, ვიღაც გარეწრისგან მოკლული მხატვარ გიორგი შავგულიძის ნამუშევრები, თვალჭრელიძეების საბუნებისმეტყველო დინასტიის მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტური მასალები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კომენდანტის, ბათუმის ბოტანიკური ბაღის ერთ-ერთი შემოქმედის ანტონ თვალჭრელიძის, ქართული მინერალოგიის სკოლის დამფუძნებლის ალექსანდრე თვალჭრელიძის ღვაწლსა და დამსახურებაზე ნათლად მეტყველებს ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმისა და იუსტიციის სამინისტროს არქივის მიერ მოწოდებული მასალები. საოჯახო არქივში დაცული პირადი მიმოწერა და ფოტოები ბევრ აღმოჩენას სთავაზობს დამთვალიერებელს. აქვე გაეცნობით პარმენ თვალჭრელიძის, პარმენ ცახელის ფსევდონიმით ცნობილი, აკაკი წერეთლის თანამედროვე მწერლის შემოქმედებას და გასული საუკუნის 70-იანი წლების პოპულარული გადაცემის „ილუზიონის“ წამყვანის, ტატა თვალჭრელიძის ნაშრომებს. ბევრისათვის ალბათ სიახლეა ისიც, რომ მსოფლიო გეოლოგიური საზოგადოების გადაწყვეტილებით ერთ-ერთი ახალაღმოჩენილ მინერალს **„თვალჭრელიძეიტი“** ეწოდა.



აქ ცალკე სტენდი ეთმობა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბილიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილების თანამშრომელს, რამდენიმე მონოგრაფიისა და არაერთი დაუსრულებელი ნაშრომის ავტორს ქალბატონ მანანა ყვავილაშვილს.

ერთი შეხედვით ეკლექტურ გამოფენას აერთიანებს მიხეილ ქვლივიძის ცნობილი ლექსის ფრთოსან ფრაზად ქცეული სტრიქონი **„კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს“**.

აბა, მთელ დარბაზთან ერთად, როგორ დამეფარა სიხარული და აღტაცება გიორგი შავგულიძის ცნობილი „კინტაურის“ შესრულების გამო, ტელეეკრანზე რომ ვხედავდით?.. მიხეილ ქვლივიძის ლექსის გამო, რომელსაც თავად ავტორი კითხულობდა?.. შესანიშნავი იყო პოეტ ია სულაბერიძის ლექსიც და ბატონ ალექსანდრე თვალჭრელიძის საუბარიც საამაყო წინაპრების შესახებ, გიორგი შავგულიძის შვილიშვილის, მშვენიერი ქეთი შავგულიძის გამოსვლა და სამადლობელი შეკრებილი საზოგადოებისადმი. კედლებიდან გადმოგვცქეროდა და სევდას გვიტოვებდა ორი უნიჭიერესი ბაბუისა და შვილიშვილის, ორი ტრაგიკულად დაღუპული გიორგი შავგულიძის შემოქმედების ამსახველი ფოტომასალა...

...**რა ხდება** ამ დროს შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში? მე რომ მივედი, იქ, მეორე სართულზე, უკვე გაეხსნათ პერსონალური გამოფენა ბრწყინვალე მხატვრის **გივი თოიძისა**. ვულოცავთ ბატონ გივის, მათლაც რომ ჩინებულ ქართველს, ჩინებულ თბილისელს, თოიძეთა გენისა და გვარის ღირსეულ წარმომადგენელს.

ქვეყანა ირევა დარბაზში – ნაცნობი, უცნობი... ათვალიერებენ ნამუშევრებს, რომლებიც, ერთიანად ქართულია, ჩვენი „წარმოშობისაა“... უამფერებოდ, უამსიყვარულოდ, ერთი დღეც კი არ უცხოვრია მხატვარს.

– გივი თოიძე სხვა კაცია, სხვა „ჩამოსხმის“, თავისი წინაპრების ალიკვალია – მეუბნება მხატვარი **ჯეირან ფაჩუაშვილი,** – ეროვნული სუნთქვა მოდის მისი ნახატებიდან და, თუნდაც ამიტომ, როდესაც ქუთაისში გამოფენებს ვაწყობდით, ბატონ თემურ შაშიაშვილის მხარდაჭერით, იქ ყოველთვის ბრწყინავდა გივი თოიძის ნამუშევრების შეუდარებელი ფერადოვნება.

– უფრო „ქართული“ მონასმი, ჩემთვის, ალბათ, არც არსებობს... შეხედეთ, ერთი, როგორ არის აყვანილი უმაღლეს დონეზე „ქართული თემა“ – ეს სოფლები, საოცარი ფერებით ამეტყველებული ჩვენი წარსული და აწმყო... გივი ხომ, რამდენიმე ქართველ მხატვართან ერთად, ჩვენი სახვითი ხელოვნების კლასიკოსია... 80 წლისაა და ასეთი ხედვა, მართლაც განსაკურთებულია, – ეს სიტყვები გივის უახლოეს მეგობარს, თავადაც შესანიშნავ ფერმწერს **რეზო ადამიას** ეკუთვნის.

...ვტკბებოდით ქართული გარემოთი, ფერტილოებზე გადატანილი ქართული სოფლადგილების თუ ციხე-კოშკების სილამაზით... კმაყოფილებით, სიამოვნებით ვტოვებდით დარბაზს, ოღონდ, მაინც სევდა მიგვაცილებდა – გივი თოიძემ ეს გამოფენა თავისი უმშვენიერესი თანამეცხედრის, თავისი მეუღლის ხსოვნას მიუძღვნა, რომლის პორტრეტი ყველაზე გამოსაჩენ ადგილას აქვს განთავსებული მხატვარს.

ჩვენ რა შეგვიძლია? „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების“.

**ვილენ მარდალეიშვილი**

## გამოვიდა

# ემატოს!..

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკისა და საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის ეგიდით გამოიცა ბიობიბლიოგრაფიული სერიის „ქართველი მეცნიერების“ მორიგი წიგნი „ვიქტორ კუპრაძე (1903-1985) ბიობიბლიოგრაფია“ (რედაქტორები გურამ გოგიშვილი, ირაკლი ღარიბაშვილი). გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსის დაბადების 110 წლისთავთან დაკავშირებული მე-2 შევსებული და გადამუშავებული „ბიობიბლიოგრაფია“ 1929-2009 წლების მასალას მოიცავს, ვიქტორ კუპრაძის სამეცნიერო-კვლევითი, სამეცნიერო-პოპულარული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, მისი რედაქციით გამოცემული შრომებისა და თვით ბატონ ვიქტორზე ლიტერატურის მითითებით.**




ახალი „ბიობიბლიოგრაფია“ იხსნება პროფესორ გურამ გოგიშვილის ჩინებული წერილით „ქვეყნისა და მეცნიერების დიდი მოამაგე (ვიქტორ კუპრაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა)“ – ქართულთან ერთად, ინგლისურ და რუსულ ენებზე. მას მოსდევს ნაკვეთები „ვ. კუპრაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები“, „ვ. კუპრაძის შრომები და წერილები“, „ვ. კუპრაძის რედაქციით გამოცემული შრომები“, „ლიტერატურა ვ. კუპრაძის შესახებ“, „საიუბილეო თარიღები“ და სხვა. ბოლო ნაკვეთად გულდასმით შედგენილი „სახელთა საძიებელი“ გვევლინება (ესეც სამენოვანი!).

საგანგებოდ უნდა შევნიშნოთ, რომ აკადემიკოსი ვიქტორ კუპრაძე, სახელგანსმენილი მათემატიკოსი-მკვლევარი და საოცრად მრავალმხრივი მოღვაწე, ერთ დროს ჟურნალისტიკასთანაც საკმაოდ „გაშინაურებული“ გახლდათ: 1921-1927 წლებში თანამშრომელი და შემდგომ რედაქტორი იყო გაზეთებისა „იუნოშესკაია პრავდა“, „მოლოდოი რაბოჩი“ და „ახალგაზრდა კომუნისტი“; ხოლო 1941-1943 წლებში, საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურისას, სამხედრო გერმანულენოვანი გაზეთის „ზოლდატენვაარჰაიტის“ რედაქციის პასუხისმგებელ მდივნობას ეწეოდა.

ასევე ცალკე გამოვყოფთ შემდეგ საგულისხმო გარემოებას: საბჭოური ხანის გაზეთ „კომუნისტში“ წავიდა ვიქტორ კუპრაძის 35(!) პუბლიკაცია; თვით მასზე კი „კომუნისტისა“ და „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე 32 წერილია გამოქვეყნებული და ეს ყველაფერი სრულადაა აღნუსხული „ბიობიბლიოგრაფიაში“.

შესანიშნავ მეცნიერზე, მოღვაწესა და პიროვნებაზე არსებულ ლიტერატურას „ბიობიბლიოგრაფიის“ სახით კიდევ ერთი კარგი წიგნი შეემატა და თავს ვალდებულად ვთვლი, რომ კეთილი სიტყვით მოვიხსენიო, ორ რედაქტორთან ერთად, მასზე ნამუშევარი დანარჩენებიც: ნანა ბაღათურია (ბიბლიოგრაფიული რედაქტორი), ია დუდუჩავა (შემდგენელი), ლამარა გოგოლაური, ლარისა თეთრაძე (მთარგმნელები), მარიკა ჟორჟოლიანი (კომპიუტერული უზრუნველყოფა), ზაზა გულაშვილი (დამკაბადონებელი) და დავით სულაქველიძე (გარეკანის დიზაინი).

არავინ და არაფერი არ უნდა იყოს დავიწყებული...

**თამაზ ეგანოიძე**

## დედაქალაქი



# ქუჩაში, ჭაში ჩავარდა კაცი...

**რამდენიმე წლის წინათ, ჩვენმა პატარებმა დენი რა იყო ხეირიანად რომ არ იცოდნენ, რადგან თვალით არ ენახათ, დედაქალაქი კი ღამ-ღამობით წყვდიადში იყო ჩაფლული, ვაკეში, მიწისქვეშა გადასასვლელის სიბნელეში მეგობარმა კაცმა თავლია ჭა ვერ დაინახა, შიგ ჩავარდა, ფეხი მოიტეხა და იმის მერე დაკოჭლდა. მერე დრო შეიცვალა, დენის პრობლემაც, ღვთის მადლით, გადაიჭრა, მაგრამ ქალაქში თავახდილი ჭების საკითხს საშველი არა და არ დაადგა.**

იყო დრო, როცა ქუჩებში სანიაღვრე ჭების თუჯის სახურავებს ხელმრუდე ხალხი იპარავდა და ჯართად აბარებდა, ღიად დარჩენილ ჭებს კი ვერც ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, ვერც ქალაქის მერიის სათანადო სამსახური უცბად ვერ უვლიდა, რაც ათასგვარი ხიფათის მიზეზი ხდებოდა. მერე ეს პრობლემაც გადაიჭრა, მაგრამ თემა, როგორც ჩანს, მაინც აქტუალური დარჩა.

ყველას გვახსოვს ის დრო, როცა თბილისის საკრებულოს მაშინდელი თავმჯდომარის მიხეილ სააკაშვილის თაოსნობით დედაქალაქში საცხოვრებელი სახლების სახურავების შეკეთება დაიწყეს და ეს კეთილი საქმე მერეც გაგრძელდა. რადგან ამისთვის საჭირო თუნუქის ხარჯი დიდი იყო, მშენებლებმა იგი სხვა სამშენებლო მასალით შეცვალეს, რომლითაც ახლა ქუჩებში სხვადასხვა დანიშნულების ჭებს ხურავენ. ამას, თვალის ერთი გადავლებით, არაფერი უჭირს, რომ არა ერთი გარემოება: ამ კომპოზიტური მასალის სახურავები იმდენად მყიფეა, რომ მოზრდილ კაცს შეიძლება ფეხქვეშ ჩაუტყდეს, რაც ორიოდე დღის წინათ ზედ მარჯანიშვილის მოედანზე მოხდა კიდეც – გამვლელმა ფეხი რომ დაადგა, სახურავი გატყდა, მამაკაცი ჭაში ჩავარდა, ხელ-ფეხი დაიზიანა და რის ვაი-ვაგლახით ამოიყვანეს. არადა, იმ ჭიდან ხუთიოდე მეტრში კიდევ ერთი ასეთივე ჭაა, ოღონდ... სულაც თავახდილი, გარშემო მხოლოდ დეკორატიული მესერი აქვს შემოვლებული...

იქნებ ახლა მაინც იზრუნოს ძველი თბილისის რაიონის გამგეობამ ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოებაზე მარჯანიშვილის მოედანზე და სხვაგანაც?

**ოთარ ტურაბელიძე,**
**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო**



სეზონის წინ

# მოთხილამურეთა ნაკრები მოსამზადებელ შეკრებას ავსტრიაში გაივლის



**დღეს საქართველოს უფროსი და იუნიორთა ნაკრები გუნდები ავსტრიის კურორტ ჰინტერტუქსში მყინვარზე სავარჯიშოდ გაემგზავრებიან. მთელი წლის განმავლობაში ამ ადგილს სავარჯიშოდ მსოფლიოში გამორჩეული მოთხილამურეები ირჩევენ და ამ პერიოდში კურორტი ჰინტერტუქსი სამთო სათხილამურო სპორტსმენების სიმრავლით გამოირჩევა.**

სამთო სათხილამურო ფედერაციის გადაწყვეტილებით ეროვნულ ნაკრებს სავარჯიშოდ ჰინტერტუქსში სნოუბორდელი სპორტსმენი რევაზ ნაზღაიძეც შეუერთდება, რომელიც თავის მხრივ საერთაშორისო შეჯიბრებებისთვის სარეიტინგო ქულების მოგროვებას გეგმავს.

26-27 ოქტომბერს ავსტრიის კურორტ ზოლდენში ჩატარდება მსოფლიო თასის პირველი ეტაპი გიგანტურ სლალომში, სადაც იგეგმება ქართველი მოთხილამურეების მონაწილეობა. ისინი ავსტრიაში 30 ოქტომბრამდე დარჩებიან, საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის (FIS-ის) მიერ ორგანიზებული შეჯიბრებები კი ნოემბერში დაიწყება.

საქართველოს სათხილამურო ფედერაცია სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს პარტნიორობით და კომპანია „სილქნეტის“ გენერალური სპონსორობით სპორტსმენების ვარჯიშების ორგანიზებას ევროპის სხვადასხვა მყინვარებზე მთელი წლის მანძილზე ანხორციელებს.

**მანუჩარ გიორგაძე**

ფეხბურთი

# ყენიას ტაიმი

**გერმანიის მე-2 ბუნდესლიგის მე-10 ტურში დიუსელდორფის „ფორტუნამ“, რომელშიც ლევან ყენია გამოდის, საკუთარ მოედანზე „ფიურტს“ 2:1 აჯობა, რომელიც ხსენებულ ტურამდე ლიდერი იყო. ქართველი შემტევი ნახევარმცველი მასპინძელთა სასტარტო შემადგენლობაში იყო და პირველი ტაიმის მერე შეცვალეს. „ფორტუნას“ 13 ქულა აქვს და 18 გუნდში მე-9 ადგილზეა.**



რუსეთის პირველი დივიზიონის მე-17 ტურში სარანსკის „მორდოვიამ“, რომლის ღირსებასაც აკაკი ხუბუტია იცავს, ვოლგოგრადში ადგილობრივ „როტორთან“ 1:1 ითამაშა. საქართველოს ნაკრების ცენტრალურმა მცველმა შეუცვლელად იბურთავა. „მორდოვია“ 19-გუნდიან სატურნირო ცხრილში მე-2 ადგილზეა.

ვლადიკავკაზის „ალანიამ“, რომელშიც ოთარ მარცვალაძე და გოჩა ხოჯავა ირჯებიან, შინ ორენბურგის „გაზოვიკს“ 3:0 მოუგო. ტრავმების გამო „ალანიაში“ არცერთ ქართველ ლეგიონერს არ უთამაშია. არც ზურაბ არზიანი იყო ორენბურგელთა სამატჩო განაცხადში. „ალანია“ ჩემპიონატს 34 ქულით ლიდერობს, ხოლო „გაზოვიკი“ 25 ქულით მეშვიდეა.

ნალჩიკის „სპარტაკმა“ გასვლაზე „უფას“ 1:0 სძლია. დავით სირაძემ გამარჯვებულთა რიგებში შეუცვლელად ითამაშა, ხოლო გუჯა რუხაია თამაშში 85-ე წუთიდან ჩაერთო. ნალჩიკელები 16 ქულით მე-16 პოზიციაზე იმყოფებიან.

ვლადივოსტოკის „ლუჩ-ენერგიამ“ ნოვოსიბირსკის „სიბირი“ მიიღო და 3:0 მოუგო. გურამ თეთრაშვილმა მასპინძლებში 90 წუთი ითამაშა. ვლადივოსტოკელებმა თავი 24 ქულას მოუყარეს და მე-8 პოზიცია უკავიათ.

ნიჟნეკამსკის „ნეფტეხიმიკმა“ თავის მოედანზე იაროსლავლის „შინიკთან“ 1:2 წააგო. მერაბ ურიდია შეცვლაზე 63-ე წუთზე შევიდა. ნიჟნეკამსკელები 21 ქულით მე-11 პოზიციაზე არიან.

კალინინგრადის „ბალტიკა“ შინაურ კედლებში კრასნოიარსკის „ენისეის“ უგოლო ფრეზე გაეყარა. კალინინგრადელებს მეკარე გიორგი შელია დაუბრუნდათ, რომელსაც ბოლო რამდენიმე ტური არ უთამაშია. „ბალტიკა“ 20 ქულით მეთორმეტეა.

**გიორგი შოთაძე**

შარო, საიდან მოდიხარ?



# გედევანიშვილის ფოტოები და აურზაური არაფრის გამო

**ცოტა უცნაური ხალხი ვართ ქართველები. ტინტო ბრასის ფილმებს მსუბუქად ეროტიულს ვეძახით, ქართველი სპორტსმენის მიერ საცურაო კოსტუმში გადაღებულ ფოტოებს კი თამამ ფოტოსესიად ვრაცხთ და ასეთ ამბებს ყოველთვის დიდი გამოხმაურება მოჰყვება ხოლმე.**

ქართველი ფიგურულად მოციგურავის ელენე გედევანიშვილის საცურაო კოსტუმში გადაღებული ფოტოები სულ რაღაც ორი დღეა, რაც ჩვენს სამამულო ინტერნეტსივრცეში გამოჩნდა და ელენეს მიმართ მავანთა მხრიდან ისეთი აგრესია წამოვიდა, ლამის მსოფლიოს ყველაზე ცნობილი სკანდალებიც კი გადაფარა.

ეს ფოტოები ქართველმა სპორტსმენმა გოგონამ თავის პროდიუსერთან კაზუმოტო მოჰნოსთან შეთანხმებით გადაიღო და ძალიან უნდა მოინდომოს კაცმა, რომ ამ ფოტოებს ზედმეტად თამამი უწოდოს. ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ ქობულეთისა და ბათუმის პლაჟებზე წამოკოტრიალებული ჩვენებური ასულები ბევრად უფრო გამომწვევად არიან გამოწყობილნი...

**როსტომ რაჭველიშვილი**

დაფასება

# სოსო ლიპარტელიანი სამბოს საერთაშორისო ფედერაციაში აირჩიეს




**საქართველოს სამბოს ფედერაციის პრეზიდენტი სოსო ლიპარტელიანი სამბოს საერთაშორისო ფედერაციის (FIAS) სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს.**

**სანკტ-პეტერბურგში გამართულ FIAS 25-ე საიუბილეო საარჩევნო კონგრესზე 96 ეროვნული ფედერაციის 207 დელეგატი მონაწილეობდა. კონგრესმა ფედერაციის პრეზიდენტად ვასილი შესტაკოვი მეორე ვადით აირჩია.**

კონგრესმა წარმოადგინა სამბოს უახლოესი კალენდარი, სპორტის ამ სახეობის განვითარებისა და ოლიმპიურ თამაშებში გაწევრიანების პერსპექტივა. ხუთივე კონტინენტის სამბოს ოჯახის წევრებმა ნიკარაგუას, სეიშელის კუნძულების, სინგაპურის, გვატემალას, სალვადორის, ტრინიდადისა და ტობაგოს FIAS-ის წევრებად მიღებას მხარი დაუჭირეს.

აღსანიშნავია, რომ სამბოს არსებობის 75 წლის განმავლობაში FIAS სტრუქტურაში საქართველოდან პირველი წარმომადგენელი სწორედ სოსო ლიპარტელიანია. საქართველოს სამბოს თავკაცის მოადგილეები კოლუმბიისა და მონღოლეთის სამბოს ფედერაციათა პრეზიდენტები იქნებიან.

სოსო ლიპარტელიანი სამბოს ფედერაციას 2012 წლიდან ხელმძღვანელობს. იგი დაიბადა 1971 წლის 3 თებერვალს ლენტეხის რაიონის სოფელ ხოფურში. არის ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი ძიუდოში, მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორი სამბოში. იყო საქართველოს ძიუდოისტთა ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელი, ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი.

**ბეჟან დოლიძე**

ჩოგბურთი

# სეზონს ლონდონსა და სტამბოლში შეაჯამებენ



**წლის მიწურულს როგორც მამაკაცთა, ასევე ქალთა შორის სეზონის შემაჯამებელი ტურნირები იმართება და თანდათან მონაწილეთა ვინაობაც ირკვევა. მამაკაცთა შეჯიბრება 4-11 ნოემბერს ლონდონში ჩატარდება და მისი მეოთხე მონაწილე ესპანელი დავიდ ფერერი გახდა.**

მანამდე ნოემბრის დასაწყისში დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში ასპარეზობის უფლება ესპანელმა რაფა ნადალმა, სერბმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა და შოტლანდიელმა ენდი მარეიმ მოიპოვეს.

ქალები 22-27 ოქტომბერს სტამბოლში ითამაშებენ და ტურნირის პრაქტიკულად ყველა მონაწილეა ცნობილი. ამერიკელი სერენა უილიამსის, ბელარუსი ვიქტორია აზარენკას, პოლონელი აგნეშკა რადვანსკას, ჩინელი ნა ლისა და რუსი მარია შარაპოვას შემდეგ ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე მდებარე ქალაქის კორტებზე მონაწილეობის უფლება ჩეხმა პეტრა კვიტოვამ, იტალიელმა სარა ერანიმ და სერბმა ელენა იანკოვიჩმა მოიპოვეს. თითქოს ქალთა შემაჯამებელი ტურნირის რვავე მონაწილე გაირკვა, მაგრამ გუშინ ცნობილი გახდა, რომ მხრის ტრავმის გამო სტამბოლში შარაპოვა არ ითამაშებს.

**ვიტალი ჯაფარიძე**



№195. ხუთშაბათი, 10 ოქტომბერი, 2013 წელი.

**ინფორმაცია**

# „საქართველოს რკინიგზამ“ მოსახლეობის თხოვნა გაითვალისწინა

**„საქართველოს რკინიგზამ“, მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე სერვისის გაუმჯობესების მიზნით, სამგზავრო ელექტრომატარებლების მოძრაობის განრიგში ცვლილება შეიტანა.**

**როგორც „საქართველოს რკინიგზიდან“ იტყობინებიან, კერძოდ, თბილისი-ფოთი-თბილისის მიმართულებას დაემატა საღამოს ჩქარი ელექტრომატარებელი.**

აღნიშნული ელექტრომატარებელი იმოძრავებს შემდეგი განრიგით: თბილისიდან ფოთის მიმართულებით გავა 17:50 საათზე და ფოთის სადგურში იქნება 22:47 საათზე, საპირისპირო მიმართულებით კი გაემგზავრება 08:00 საათზე და თბილისში დაბრუნდება 12:46 საათზე.

როგორც „საქართველოს რკინიგზაში“ აცხადებენ, ისინი აქტიურად განაგრძობენ მგზავრთა მოთხოვნების სისტემატურ შესწავლას, სერვისის სფეროში სიახლეების დანერგვისა და გაუმჯობესებული მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით.

**ინტერნეტიდან**

# ალმოდებული ცა,

## ანუ მართლაც მხოლოდ ექსპერიმენტი თუ კლიმატურ-ტექნიკური იარაღი?!



**ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ჯარების კვლევითი ლაბორატორიის პლაზმური ფიზიკის ქვედანაყოფის მეცნიერებმა ალასკის პოლიგონზე განთავსებული HAARP დანადგარის საანტენო ველის საშუალებით, დედამიწის ზედაპირიდან 170 კილომეტრის სიმაღლეზე, რომ იტყვიან, „ცას ცეცხლი წაუკიდეს“.**

მკვლევრებმა მაღალი სიხშირის მძლავრი ელექტრომაგნიტური გამოსხივება იონოსფეროში მიმართეს, რითაც იქ პლაზმის სტაბილური ღრუბელი შექმნეს, ეგრეთ წოდებული „მხრჩოლავი მუხტი“, რომელმაც დაახლოებით ერთ საათს გასტანა.

პლაზმურ ღრუბელთა გენერირებას მეცნიერები ადრეც ახერხებდნენ, მაგრამ ამ ჯერზე მათ რეკორდულ სიმკვრივეს, კუბურ სანტიმეტრზე 900 ათას ელექტრონს მიაღწიეს. ამერიკელ სამხედროთა განცხადებით, რომელთა დაკვეთითაც აღნიშნული ექსპერიმენტი ჩატარდა, ამის მიზანი ატმოსფეროში, ანუ ბუნებრივი იონოსფეროს ქვემოთ მოკლე რადიოტალღების არეკვლის უნარის მქონე პლაზმის ხელოვნური წარმონაქმნების მიღებაა, სხვა მიზანი მათ არა აქვთ.

თუმცა კი, ბევრი მეცნიერი ამას ეჭვქვეშ აყენებს და აცხადებს, რომ **ამერიკელი სამხედროები დროდადრო HAARP-ს... კლიმატურ და ტექტონიკურ იარაღად იყენებენ!** ყოველ შემთხვევაში, ექსპერიმენტები, სწორედაც რომ, ამ სფეროებში მიმდინარეობს: **ისინი ძლიერი ნალექების, ანდა, პირიქით, გვალვის სახით ამინდის კატაკლიზმების გამოწვევას ცდილობენ, იონოსფეროზე გამოსხივებით კი ქარიშხლებსა და მიწისძვრებს პროვოცირებენ.** ზოგი კი სულაც მიიჩნევს, რომ პლაზმის ღრუბლები მოწინააღმდეგის რაკეტების ჩამოსაგდებადაა საჭირო.

ამდენად, იმის თაობაზე, თუ რამდენად აქვს აღნიშნულ ექსპერიმენტს კავშირი მთელ მსოფლიოში ამჟამად ესოდენ მასშტაბურ კლიმატურ კატაკლიზმებთან, კერძოდ კი არნახული მასშტაბის საყოველთაო წყალდიდობებთან, ქარიშხლებთან მხოლოდ მარჩიელობა შეიძლება.

ამასობაში კი აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ლაბორატორიის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დანადგარ HAARP-ის მეშვეობით პლაზმის ღრუბლების წარმოქმნის ექსპერიმენტები კვლავაც გაგრძელდება, რის მიზანი მათი მეტი სიმკვრივისა და სტაბილობის მიღწევაა.

**დალი ხუნდაძე**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ალერგოლოგიის, ასთმის და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის დირექტორის პირველი მოადგილის, ქალბატონ მანანა ჩიხლაძის დედა

**ლამარა სერაფიონის ასული**

**ზერაგია-ჩიხლაძისა**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ალერგოლოგიის, ასთმის და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი რევაზ სეფიაშვილი ოჯახით მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის დირექტორის პირველი მოადგილის, ქალბატონ მანანა ჩიხლაძის დედა, ღირსეული ქალბატონი

**ლამარა სერაფიონის ასული**

**ზერაგია-ჩიხლაძისა**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

---

ნანა და დემურ ჩოგოვაძეები ოჯახით თანაუგრძნობენ მანანა, ნინო და ხვიჩა ჩიხლაძეებს დედის

**ლამარა სერაფიონის ასულ**

**ზერაგია-ჩიხლაძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

---

საქართველოს ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის ასოციაცია უსამძიმრებს ასოციაციის გენერალურ მდივანს მანანა ჩიხლაძეს დედის

**ლამარა ზერაგია-ჩიხლაძის**

გარდაცვალების გამო.

---

მანანა ჟღენტი ოჯახით სამძიმარს უცხადებს მანანა ჩიხლაძეს და მის ოჯახს ძვირფასი დედის

**ლამარა ზერაგია-ჩიხლაძის**

გარდაცვალების გამო.

**შეუცნობელი**

# სიყვარული სოკომდე

## ადამიანი და საფუარი: ომი კოსმოსშიც კი მიდის

**კარგი ამბავი მათთვის, ვისაც დიდხანს სიცოცხლე უნდა. მკვლევრებმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან გამოყვეს გენი, რომელიც დაბერებას მართავს და იგი საფუარში აღმოაჩინეს.**

ახლა მეცნიერები ცდილობენ, გამოარკვიონ, შეიძლება თუ არა ამ აღმოჩენის გამოყენება ადამიანთა სასიკეთოდ. და თუ შეძლეს, რომ ადამიანის ორგანიზმის დაბერება შეაბრუნონ ალმა, ჩვენ კიდევ ერთხელ ვეტყვით მადლობას სოკოებს. საფუარი ხომ — ეს მათი ნაირსახეობაა. ჰომოსაპიენსის ურთიერთდამოკიდებულება საფუართან (აგრეთვე ობთან, სოკოების კიდევ ერთ სახეობასთან) გრძელდება რამდენიმე ათასწლეულია. და მათში, როგორც ბევრ ოჯახში, ხდებოდა ყველაფერი — სიყვარულიც, სიძულვილიც, მეგობრობაც, მტრობაც.

### ლოთობის მავნეობის შესახებ

**ადამიანმა საფუარი მოითვინიერა მიწათმოქმედების განთიადზე (10 ათასი წლის წინათ), არსებითად, აქცია იგი „შინაურ ცხოველად“. როგორც ცხოველებს, სოკოებს შეუძლიათ მოიხმარონ ორგანული საკვები მზა სახით. და მრავლდებიან კიდეც სქესობრივი გზით! ჩვენ შორეულ წინაპრებს საფუარი ეხმარებოდა უბრალოდ გადარჩენაში. როდესაც ისწავლეს პროდუქტების საფუარად გადაქცევა, ძველმა ადამიანებმა გამოიყენეს იგი სპირტიანი სასმელების დასამზადებლად, შემდეგ კი გამოსაცხობადაც. ნაყენს მაშინ სვამდნენ არა იმდენად სამხიარულოდ, რამდენადაც საკუთარი უსაფრთხოებისთვის. სანიტარიისა და ჰიგიენის შესახებ მაშინ ვინ რა იცოდა, მაგრამ გამოცდილების გზით დაადგინეს, რომ ადუღებულ სასმელს მეტი უპირატესობა აქვს: იგი გიცავს სასიკვდილო ინფექციებისგან.**

თუმცა, არის ვერსია, რომ ადამიანისა და ალკოჰოლის ახლო მეგობრობა დაიწყო გაცილებით ადრე, მილიონობით წლის წინათ. ტყეში მცხოვრებმა პრიმატებმა ისწავლეს მწიფე ნაყოფის მოძებნა, ეთილის სპირტის სუნით: ზოგიერთი იწყებდა დუღილს, მაგრამ გვერდით ყოველთვის შეიძლებოდა, გენახა ჯერ კიდევ ახალი და საჭმელად ვარგისი. ეს უნარი ჩვენ წინაპრებს განუმტკიცდათ ბუნებრივი შერჩევის დროს, სპირტის სურნელი, რომელიც ტრაპეზის წინასწარ გრძნობას იწვევდა, ბოლოს და ბოლოს, აღმოჩნდა დაკავშირებული ტვინში კმაყოფილების ცენტრებთან.

ცნობილია, რომ სოკოები კარგად ხარობენ სხვა ბიოლოგიურ სახეობებთან სიმბიოზში (ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობაში). მაგალითად, ჭიანჭველები და ხოჭოები ამრავლებენ სოკოებს თავიანთი საცხოვრებლების მახლობლად, ამარაგებენ მათ საკვებით და შემდეგ კი „მოსავლის“ ნაწილით კვებავენ თავიანთ შვილებს. ამ თვალსაზრისით ადამიანის ურთიერთდამოკიდებულებასაც სოკოებთან შეიძლება ვუწოდოთ სიმბიოზი: ადამიანი ამზადებს საფუარს, უზრუნველყოფს მის გადარჩენას და ევოლუციასაც კი (ლუდის მხარშველებმა და მეღვინეებმაც გამოიყვანეს საფუარის ისეთი სახეობები, როგორიც ველურ ბუნებაში არ გვხვდება), ისინი ანიჭებენ მას სასიამოვნო დროსტარებას, ეხმარებიან ხილისგან, კენკროვანებისა და მარცვლეულისგან მიიღონ მაგარი სასმელები. მაგრამ აქ ჩნდება შეკითხვა: მართლაც არის ეს თანაბარი, პარტნიორული ურთიერთობა? და ხომ არ ცდილობს თავად საფუარი სინამდვილეში დაიმორჩილოს „გონიერი ადამიანი“? ეტყობა, ჩვენ გამოგვიცხადეს ომი. ვინ? სოკოებმა!



ალკოჰოლი იწვევს დამოკიდებულებას — ეს ფაქტია. და ეს სხვა არაფერია, თუ არა ცბიერი იარაღი, რომლებსაც სოკოები იყენებენ იმის მისწრაფებით, რომ დაამუშაონ ადამიანი. მაგრამ ჩვენ არ ვნებდებით. ევოლუციის პერიოდში ჩვენს გენომში მოხდა, როგორც მინიმუმი, ორი მუტაცია (დიდება გონიერ ბუნებას!), რომელთა შედეგადაც ალკოჰოლისკენ სწრაფვა დაქვეითდა — დაზიანდა გენები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ეთანოილის გამხლეჩი ფერმენტების გამომუშავებაზე. შედეგად საკმაოდ დიდმა პოპულაციებმა (ძირითადად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში — ჩინელებმა, იაპონელებმა, კორეელებმა) დაიწყეს დალევის ცუდად გადატანა, რაც აიძულებს მათ, სულაც უარი თქვან ალკოჰოლზე. თუ გენეტიკური ცვლილებები გაგრძელდება და კაცობრიობა ოდესმე სულაც შეწყვეტს სმას, შეიძლება თამამად ითქვას: ეს ომი ჩვენ მოვიგეთ! თუმცა სოკოებს არსენალში სხვა მრავალი სახსრებიც აქვთ — კანის, ფრჩხილების, თმების, სასუნთქი და სასქესო გზების დაავადებანი. ლიქენი, ქეცი, სხვადასხვა სახის დერმატიტი —ეს ყოველივე მათი „ნახელავია“.

### გონიერი წინაპარი

**ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ადამიანსა და სოკოებს საერთო წინაპარი ჰყავდათ. მაგრამ რომელიღაც მომენტში ჩვენი ევოლუციური გზები გაიყარა. პალეონტროპოლოგ ალექსანდრ ბელოვს, ინვოლუციების თეორის ავტორს, მიაჩნია, რომ სოკოების შორეულ წინაპარს შეიძლება ჰქონოდა გონება!**

„სოკოებს თავიანთ შორეულ წინაპრებში სავსებით შეიძლებოდა ჰყოლოდათ ადამიანის მსგავსი გონიერი არსება. ახლოს არიან ერთმანეთთან ჩვენი ცილოვანი სტრუქტურები. ამას გარდა, არის სოკოების ადამიანის ემბრიონთან მორფოლოგიური მსგავსება. შეხედეთ, სოკოს ფესვოვანი სისტემა შეიძლება შევადაროთ ჩანასახის კანის ბუსუსებს. მისი მეშვეობით სოკო ნიადაგიდან იწოვს საკვებ ნივთიერებებს, სოკოს სხეული კი იყოფა ფეხად და ქუდად. ფეხი შეიძლება გავაიგივოთ ჭიპთან, ისიც ხომ, როგორც ჩანასახის ჭიპი, აწვდის საკვებ ნივთიერებებს ქუდს, რომლის ქვეშაც მწიფდება თესლი. თავად ქუდი კი გასაოცრად ჰგავს ხერხემლიანთა ადრეულ ემბრიონებს. თანაც სოკოს თესლი მწიფდება დაახლოებით იმავე ადგილზე, სადაც ემბრიონის პირველადი სასქესო უჯრედები, რაც აძლიერებს მსგავსებას“.

ა.ბელოვი ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ ძველინდურ ვედებში ნათქვამია ცოცხალ არსებათა უამრავ წინაპრებზე. თითოეულმა მათგანმა მისცა საწყისი თავის ტიპს, რომელიც მიწაში ჩაიზარდა და, ბოლოს და ბოლოს, გადაიქცა ჩვენთვის ჩვეულებრივ ფლორად და ფაუნად. მისი თეორიის თანახმად, ასე წარმოიქმნა მცენარეები, მარჯნები, მწერები, თევზები, ფრინველები და ცხოველები. ჩვენი პლანეტის მთელი ბუნება — ესაა რომელიღაც ძლიერი წინაპრების გადაშენებული მემკვიდრეები. ...ასეთი რამ ჰქონდა სოკოებსაც, განა შემთხვევით გამოჰყოფენ ცალკე სამეფოდ, — შენიშნავს იგი. მხოლოდ მილიონობით წლების განმავლობაში მოხდა ამ გონიერი არსების დეგრადირება. თანამედროვე სოკოები მისი განუვითარებელი ფორმაა. ისინი დიდი ხანია, შეეწყვნენ თავიანთ განუვითარებლობასაც, სიცოცხლესაც უთავოდ.

შეეწყვნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ვერ შეურიგდნენ თავიანთ ხვედრს. ამიტომ გადაუგდეს გამოწვევა პლანეტის ყველაზე ძლიერ მცხოვრებელს — ადამიანს. და, თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, როგორ ექსტრემალურ პირობებში ცხოვრობენ ეს ორგანიზმები (სოკოებს ობის სახით პოულობდნენ ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის სარკოფაგების ქვეშ და ანტრაქტიდაშიც, ღია კოსმოსის პირობებში კი ისინი უფრო აგრესიულები ხდებოდნენ!), ამ ბრძოლის შედეგი იქნებ ჩვენს სასარგებლოდ არც იყოს. სხვათა შორის, სოკოებმა უკვე მოიპოვეს ლოკალური გამარჯვებები ადამიანზე. ისინი სჯაბნიდნენ კოსმონავტებს ორბიტალური სადგურებიდან „სალუტი“ და „მირი“, თანდათან იპყრობდნენ მათ — სჭამდნენ პლასტიკებს, რეზინს და ზემყარ კვარცის მინას, წყობილებიდან გამოჰყავდათ აპარატურა.

ლამის საბრძოლო სწავლებას აწყობდნენ.

„Аргументы и факты“

## დაიჯესტი

### სამი ციფრი ქალბატონებისთვის



**როგორ შეგიძლიათ შეაფასოთ საკუთარი ჯანმრთელობა? საამისოდ მეცნიერები ქალბატონებს სამ მარტივ ტესტს სთავაზობენ.**

● თუ ქალი 40 კილოგრამზე ნაკლებს იწონის, მისი ორგანიზმი მდედრი ჰორმონების ესტროგენების დეფიციტს განიცდის. ამასთან, მათ ყოველთვიური ქალური ციკლი არა აქვთ, ამიტომაც სპეციალისტები ურჩევენ ფსიქიატრსა და გინეკოლოგს მიმართონ.

● გაიზომეთ წელისა და თეძოების გარშემოწერილობა და პირველი ციფრი მეორეზე გაყავით: თუ ეს შეფარდება 0,7-ზე მეტი აღმოჩნდა, მაშასადამე დიდია შაქრის დიაბეტის, გულის სისხლ-ძარღვთა და კიბოთი დაავადების რისკი. გამოკვლევებით დადგინდა, რომ, რაც უფრო ფართო აქვს ქალს თეძოები, მით მეტია მის ორგანიზმში ესტროგენები და მით უფრო ხანგრძლივია მისი სიცოცხლე. ოღონდ ეს იმ პირობით, რომ წელის გარშემოწერილობა 88 სანტიმეტრზე ნაკლებია.

● თუ ქალს არასდროს უმშობიარია, მაშინ დიდია საკვერცხეებისა და მკერდის კიბოს რისკი.

### სასტუმრო კი პატარა და მყუდრო სჯობს...

**ბოლო წლებში ევროპაში სპეცსამსახურებმა არაერთი ტერორისტული აქტის თავიდან აცილება შეძლეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საფრთხე მათი განხორციელებისა, მაინც არსებობს. იმავე სპეცსამსახურთა მონაცემებით, თავდასხმის ობიექტები შეიძლება გახდეს დიდი აეროპორტები და ეიფელის კოშკის მსგავსი პოპულარული ადგილები, სადაც ყოველთვის უამრავი ტუ-**



**რისტი ირევა. ამდენად, თანამედროვე მოგზაურებმა მარტო გადაადგილების მარშრუტი კი არ უნდა შეიმუშაონ, არამედ ტერორისტების თავდასხმის შემთხვევაშიც მოქცევის წესები უნდა ისწავლონ.**

● აეროპორტში ეცადეთ, რეგისტრაცია რაც შეიძლება სწრაფად გაიაროთ, ყველა კორდონი გადალახოთ და დაცულ ზონაში აღმოჩნდეთ. თავდასხმების უმრავლესობა აეროპორტების ვესტიბიულებში ხდება, სადაც მგზავრები და ბარგი ჯერაც შეუმოწმებელია;

● ნუ გაჩერდებით დიდი, ცნობილი ქსელების სასტუმროებში. მათი სახელები ყველამ კარგად იცის, ამიტომ ისინი ტერორისტებისთვის უფრო მიმზიდველ სამიზნეს წარმოადგენენ. ეცადეთ, პატარა სასტუმროები გამონახოთ. სართული ეცადეთ მეორეზე დაბლა და მეშვიდეზე მაღლა არ იყოს, რადგან სახანძრო კიბეები, რომლებითაც საჭიროების შემთხვევაში გარეთ გასვლას შეძლებთ, იშვიათად აღწევენ უფრო მაღალ სართულებს. კარგი იქნება, თუკი სასტუმროს ნომრის ფანჯრები ეზოში გამავალი იქნება: თუკი ტერორისტები სასტუმროსთან ასაფეთქებლიან მანქანას მოაყენებენ, უფრო მეტი ალბათობაა, რომ ისინი მას ცენტრალურ შესასვლელთან გააჩერებენ.

● წინასწარვე გაიგეთ, თუ სად მდებარეობს სასტუმროსთან უახლოესი საავადმყოფო, ნურც სამედიცინო დაზღვევა დაგავიწყდებათ, პირველი დახმარების წამლებიც თან იქონიეთ, რომელთა რიცხვს რესპირატორები და დოლბანდის ნიღბებიც მიეკუთვნება.

### ანჯელინა ჯოლის უბედურება

**მსოფლიოს ერთ-ერთმა ულამაზესმა ქალმა, კინოვარსკვლავმა ანჯელინა ჯოლიმ მკერდის კიბოს საშიშროების თავიდან ასაცილებლად ორივე ძუძუ რომ მოიკვეთა, ეს ამბავი გაზაფხულზე გახდა ცნობილი, მას შემდეგ, რაც გაზეთმა „ნიუ იორკ თაიმსმა“ მისივე დაწერილი სვეტი გამოაქვეყნა.**



ამ ამბავმა ბევრი მისი კოლეგა და, უბრალოდ, ის ადამიანიააფორიაქა, ვისაც ავთვისებიანი სიმსივნისა მასავით ეშინია. მას შემდეგ, რაც ანჯელინამ თავისი დიდებული მკერდი მოიკვეთა, მისთვის სიმსივნის ალბათობას ექიმები უკვე არა 87, არამედ 5 პროცენტით აფასებენ.

ახლა კი, ჟურნალ „ფიფლის“ ცნობით, ანჯელინა ჯოლის კიდევ ერთი მეტად არასასიამოვნო პროცედურა ელის: იგი საკვერცხეების ამოჭრას აპირებს. მართალია, ჯერჯერობით ამ მხრივ საფრთხე არ ემუქრება, თუმცა კი რისკი ძალიან დიდია, რადგან სწორედ ეს სნეულება გახდა დედამისის მარშელინ ბერტრანის სიკვდილის მიზეზი, რომელიც 56 წლის ასაკში გარდაიცვალა. თავად ანჯელინა კი ახლა 37 წლისაა.

უნდა ითქვას, რომ ორგანოთა მოკვეთის თაობაზე ექიმთა აზრი, განსხვავდება— ზოგს მიაჩნია, რომ ეს გადამეტებული სიფრთხილეა, ზოგიც ამას ადრეული სიკვდილისგან გადარჩენის გზად აღიქვამს. ამასობაში კი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ასეთი ოპერაციების რიცხვი წლიდან წლამდე მატულობს, რა თქმა უნდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა გენეტიკური ანალიზებით დასტურდება, რომ დაავადების საფრთხე ძალიან მაღალია.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### გუშინდელი გაზეთებიდან



### მეტროში ჩასვლა საშიშია!

თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ზაზა გაბუნია გამოდის ინიციატივით, რომ თბილისის მეტროპოლიტენში ჩატარდეს ექსპერტიზა და დადგინდეს, რამდენად აკმაყოფილებს მეტროპოლიტენი უსაფრთხოებისა და სანიტარიულ ნორმებს. მეტროს სპეციალისტების თქმით, უგულავამ ერთ დროს ყველაზე უსაფრთხო ტრანსპორტი გადაადგილების ყველაზე საშიშ საშუალებად აქცია. სპეციალისტების თქმით, მეტროს გვირაბები სავსეა მასალებით, რომლებიც ცეცხლის გაძლიერებას უწყობს ხელს. დედაქალაქის მთავრობაში მოსვლისთანავე უგულავას ბრძანებით, თბილისის მეტროპოლიტენში სარემონტო სამუშაოები დაიწყო. პროცესი საკმაოდ კურიოზულად წარიმართა. ბევრ სადგურში კედლებიდან ჩამოხსნეს ძვირადღირებული მარმარილოს ფილები და მათ ნაცვლადააკრეს „პლასტიკატები“, რომელიც ელიავას ბაზრობაზე კვადრატული მეტრი 5 ლარი ღირს... ცხადია, ეს ფაქტიც „მოტეხვის“ მიზნით გაკეთდა.

**„ახალი თაობა“**

### ზურაბ ზვიადაური პარლამენტს ტოვებს?

ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ახმეტის მაჟორიტარმა დეპუტატმა ზურაბ ზვიადაურმა პოლიტიკაზე გული აიცრუა და აპირებს სპორტს დაუბრუნდეს, თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია, მაგრამ მალე მიიღებს. ახმეტის საკრებულოს ყოფილ თავმჯდომარეს, ზაქარია ქინქლაძეს არ სჯერა, რომ ზვიადაური პოლიტიკიდან წავა და არ არის გამორიცხული, თამაშობდეს. მისი აზრით, აქ ერთი ვარიანტია: თუ „ქართულმა ოცნებამ“ დაიწყო დეპუტატების გადახალისება და რამდენიმე დეპუტატი გადაიყვანა აღმასრულებელში, მათ ადგილზე შეიძლება შემოიყვანონ დეპუტატები რიგგარეშე არჩევნების შედეგად, თანაც ისეთი დეპუტატები, რომლებიც უფრო პრაქტიკული იქნებიან პარლამენტისთვის.

**„ალია“**

### ვახტანგ ქუთათელაძე დუმილს არღვევს

უშიშროების ყოფილი მინისტრი ვახტანგ ქუთათელაძე 12-წლიან დუმილს არღვევს და „ყველა სიახლეს“ აქტუალურ თემებზე ესაუბრება. — თავიდან იგი შვილზე საუბრობს, რომელსაც პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით დაუსწრებლად 13-წლიანი პატიმრობა აქვს შეფარდებული. — ჩემი ვაჟი მოსკოვში იმყოფება, ჩვენი ბრწყინვალე სასამართლოს და იმის გამო, რომ მე ვიყავი ვახტანგ ქუთათელაძე მას მისჯილი აქვს 13 წლით თავისუფლების აღკვეთა. ყველა ის ადამიანი, ვინც დიდი როლი ითამაშა ჩემი ვაჟის საქმის შეთითხნაში, ზოგი ციხეშია, ვგულისხმობ ყოფილ მინისტრებს, ზოგიც დაწინაურებულია პროკურატურასა და შსს-ში. არადა, გივი უდანაშაულოა, ეს იყო შეთითხნილი ამბავი, თითქოს ჩემი შვილი მონაწილეობდა ჩხუბში...

**„ყველა სიახლე“**

### ჭორვილაში ივანიშვილის პრემიერობიდან წასვლას სიხარულით ელოდებიან

მართალია, პოლიტიკიდან წასვლა პრემიერს ბევრმა არ მოუწონა, მათ შორის მასთან დაპირისპირებულმა „ნაციონალებმაც“, მაგრამ ჭორვილაში ამ საკითხზე სულ სხვა მოსაზრება აქვთ, ეს არცაა გასაკვირი — გაპრემიერების მერე ივანიშვილმა, ბევრს მოუხსნა 200-ლარიანი დახმარება, ზოგს — 300-ლარიანიც. ასევე შეჩერდა სახლების მშენებლობაც და სხვა დახმარებებიც იმ მიზეზით, რომ ეს მოსყიდვაში არ ჩაითვლებოდა. ახლა კი იმედი აქვთ, რომ გადადგომის მერე ეს სიკეთე კვლავ აღდგება. ამბობენ, რომ 800-მდე ამომრჩევლიდან შარშან ოქტომბერში 57-ს ხმა „ნაციონალებისთვის“ მიუცია, რასაც პრემიერის აღშფოთება გამოუწვევია. „ბიძინა გაგიჟებულა, ეს რომ გაუგია. ვინ არის ის 57 კაცი, ვინც ნაციონალებს მისცა ხმა, დაადგინეთო“, — ამბობენ ჭორვილაში.

**„რეზონანსი“**

## კადრი



## ცინცხალი ანეკდოტები

**მამაკაცებო, ნუ შეიყვარებთ ექიმ ქალებს. ისინი სულ ამბობენ — „ვინ არის შემდეგი?“.. ნუ შეიყვარებთ გამყიდველ ქალებს! ისინი ამბობენ — „რიგში ჩადექით!“... შეიყვარეთ პედაგოგები! ისინი ამბობენ: „ერთხელაც გავიმეოროთ“...**

* * *

**სვანები სათიბიდან ბრუნდებიან. უცებ მათ გვერდით უთავო ბაიკერმა ჩაუქროლა.**

**— ეს რა არის, კაცო, კინოს იღებენ? — უკვირს ერთ სვანს.**

**— კინოს იღებენ კი არა, ეს ცელი მეორე მხარზე გაიდევი...**

* * *

**როცა იგი ქუჩაზე გადადიოდა, მის დანახვაზე შავი კატა სამჯერ იფურთხებოდა მხარიღლივ.**



* * *

**ორი სვანი დაძრულ ავტობუსს მისდევდა. უცებ ერთ მათგანს ფეხი დაუსხლტდა და გუბეში ჩავარდა.**

**— რაო, ვითომ ცურვით უფრო მალე დაეწევი?**

* * *

**ვერაფრით გამიგია, რა განსხვავებაა „მის მსოფლიოსა“ და „მის სამყაროს“ კონკურსებს შორის. „მის სამყაროში“ რა, უცხოპლანეტელებიც მონაწილეობენ?**

* * *

**ავტოინსპექტორმა ქერა ლამაზმანი გააჩერა.**

**— თქვენი მართვის მოწმობა.**

**— რა არის მართვის მოწმობა?**

**— აი, ისეთი რაღაცაა, სადაც თქვენი სახეა აღბეჭდილი.**

**ლამაზმანი დიდხანს იქექება ჩანთაში, მერე სარკეს ამოიღებს და ავტოინსპექტორს მიაწვდის.**

**იგი დიდხანს იყურება სარკეში და ამბობს:**

**— თავიდანვე ვერ მითხარით, თუ მილიციონერი იყავით?**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24